საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიფცვაა, ფცუიღებით და ჭიარებით ბუტთის გაფანა ყვეღა უკარისიბაზე უსაძაგღესია.

ოთხშაბათი, 24 თებერვალი. 2016 წ. №35 (7927), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

რასაც ჩვენს გაზეთში, სხვასაც ნახავთ!

გადამდები ბაცილა პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვის?!.

6

ტირანია მოვიშორეთ, ახლა დემოკრატომანია გვიტევს

ბუდარაოგენ რესპუბლიკელები ქართულ პარლამენტში და წიწილებს ამერიკულად გვიჩეკენ

5

როგორ ხსნიდნენ კახი ცხადაძეს?

10

სპორტული გატალიები

საფრთხე კატასტროფად არ უნდა მოგვევლინოს!

3

„ახლავე შეუტიე, დასტურია, აიღე ქალაქი!“

7

„საქართველო გაიყოფინთა მაყაშვილთა გოდებით“

გამოთხრის თაგვი კატას?

როცა თხლეები ხეებს „იცავენ!“

პაპამისის დანატოვარი ხომ არ ეგონა, სააკაშვილი ქობულეთის სანაპიროზე 9 ჰექტარ მიწას ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებულ კომპანიას... ერთ ლარად(?!) რომ აძლევდა?!

იმას, რასაც ამ ბოლო ხანს განცმოძრაობა აკეთებს, ჭიქაში ქარიშხლის აბობოქრება კი არა, უფრო მეტად აურზაური არაფრის გამო ჰქვია! სამი ხის გადარგვის მომიზეზებით აგორებულ „სკანდალზე“ მოგახსენებთ.

არადა, იძ უკანონო არაფერი არ ხდება!

და, რაც მთავარია, ეს ხეები მართლა ბიძინა ივანიშვილის ურეკის რეზიდენციაში კი არ უნდა გადარგონ, როგორც ამას განცელები „აწვებიან“, არამედ კურორტ შეკვეთილის იმ მრავალფუნქციური გრანდიოზული ნაგებობების ტერიტორიაზე, რომელი კომპლექსის ამოქმედებაც დიდ მორალურ და მატერიალურ სარგებელს მოუტანს საქართველოს.

მაგრამ **„ხეებს“,** ამგვარ ჭორებს რომ ავრცელებენ, და ვითომ იმ გადასარგავ ხეებს იცავენ, შეაგნებინებ რამეს? ან თუნდაც ოდნავ მაინც შეუფაკლავ ღაწვებს საქართველოში ხეების და, საერთოდ, გარემოსთვის თავიანთი მარტოოდენ ჯეროვნად გაუაზრებელი კი არა, აშკარად მავნებლური ქმედებების, უამრავი ფაქტის შეხსენებით?

მაგრამ ეს სხვა დროისთვის გადავდოთ. ახლა კი გივი თარგამაძეს და მისნაირ გახევებულებს მივხედოთ, ხეების გატანისთვის... ხელის შესაშლელად კარავი რომ გაშალეს!

და არ იკითხავთ, სად?

სად და, ციხისძირში, ზღვის სანაპირო ზოლის იმ 9 ჰექტარი ტერიტორიის ერთ მონაკვეთზე, რომელი 9 ჰექტარიც მიხეილ სააკაშვილის

1911 წლის 3 აგვისტოს განკარგულების საფუძველზე... ერთ ლარად გასხვისდა ოფშორში დარეგისტრირებულ კომპანია „REDMAD FEDERATOIN INC“-ზე.

თანაც დოკუმენტებში არ ჩანს არც ამ კომპანიის წარმომადგენელი, არც ხელმომწერი მხარე და, საერთოდ, არც ერთი საკონტაქტო პირი, ვისთანაც რაიმე სამართლებრივი ურთიერთობის დამყარება შეიძლება.

ამ საქმეს უკვე იძიებს საქართველოს პროკურატურა, რომლის ინფორმაციითაც, ეს 9 ჰექტარი ოფშორულ კომპანიაზე განცმოძრაობელთა ზეობის დროინდელ სამართალდამცავი ორგანოების უკანონო ჩართულობით და ყალბი დოკუმენტაციის საფუძველზე დარეგისტრირდა!

სანამ ძიება მიმდინარეობს, ამ თემაზე საუბარს არ განვაგრძობ. ერთსღა ვიკითხავ:

მართლა იმ სამ ხეს ეფოფრებიან განცმოძრაობელი „ბუნების მეგობრები“ თუ... იმ სიმბოლურ ერთ ლარში „განივთებულ“ ასეულ მილიონებს მისტირიან და იცავენ, რა ფასადაც კულისებს მიღმა გაიყიდა სანაპირო ზოლის ნაწილი ციხისძირში?

და ბოლოს, ღმერთმა დამიფაროს რაიმე ფიზიკური ნაკლის გამო ვინმესთვის შეურაცხყოფის მიყენებისგან, მაგრამ ჩემდაუნებურად გამახსენდა ამ რამდენიმე წლის წინათ ერთი პიროვნების ტელევიზიით ნაანგლევი – **იმას შემასწრო, დავინახო, გივი თარგამაძე როგორ უღებს პირს სტომატოლოგსო!**

ჰოდა, ამის ანალოგიით **მაინტერესებს, როგორ დააბჩენს პირს „ჩეგევარა“ გივი,** როცა პროკურატურა ძირფესვიანად გამოიკვლევს **(იმედია, ამას მაინც გამოიკვლევს!)** ყველაფერს და ცხადს მოჰფენს იმ მაქინაციას, რითაც სააკიანთ ბიჭმა თავისი პაპის დანატოვარივით „გააჩუქა“ 9 ჰექტარი მიწა, რომელზეც, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, რამდენი ძირი ხეა დარგული?

ალბათ, გამოთხრიან „ხეები“ კატას!

ამ თემას და, საერთოდ, სამი ხის გამოატეხილ ყოვლად უსაფუძვლო აურზაურს ჩვენი გაზეთი ამ დღეებში კიდევ ერთხელ გამოეხმაურება.

რუსლან რუსია

პრეზიდენტი სამხრეთ კავკასიაში ეუთოს სპეციალურ წარმომადგენელს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი სამხრეთ კავკასიაში ეუთოს სპეციალურ წარმომადგენელს გიუნტერ ბეხლერს შეხვდა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, შეხვედრისას მხარეებმა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ვითარება და რეგიონში უსაფრთხოების მიმართულებით შექმნილი მდგომარეობა განიხილეს.

მხარეებმა ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. ეუთოს მისია, როგორც მოლაპარაკებების ფორმატში ჩართული მისია, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატის და ამ ფორმატში მოლაპარაკებების კონსტრუქციულ რეჟიმში წარმართვის უდიდეს მნიშვნელობას.

ეუთოს მისია შეშფოთებას გამოთქვამს რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან გაფორმებული ე.წ. ხელშეკრულებების გამო.

გიორგი კვირიკაშვილის წარმატებული ვიზიტი ჩეხეთში

საქართველოს მთავრობის მეთაური ჩეხეთში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში გუშინ საქართველოს დელეგაციასთან ერთად ჩეხეთის რესპუბლიკის პარლამენტის წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარეს იან ჰამაჩეკს შეხვდა.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები, ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის საკითხები და შემდგომი განვითარების პერსპექტივები.

საუბარი შეეხო საქართველოს ნატოში ინტეგრაციის საკითხს. საქართველოს დელეგაციამ ინფორმაცია მიაწოდა ნატო-საქართველოს „არსებითი პაკეტის“ განხორციელების მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებზე.

ჩეხეთის მხარემ კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, აგრეთვე ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის ურყევი მხარდაჭერა.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ჩეხეთში სასწავლებლად მყოფ ქართველ სტუდენტებს შეხვდა. ახალგაზრდები ბაკალავრისა და სამაგისტრო პროგრამების სხვადასხვა პროფესიებს ჩეხეთის აგრარულ უნივერსიტეტში, ჩეხეთის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში, ჩარლზის უნივერსიტეტში, ანგლო-ამერიკულ უნივერსიტეტში და პრაღის უმაღლეს ეკონომიკურ სკოლაში ეუფლებიან.

„თქვენ ხართ ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანები ჩვენთვის, ჩვენი ქვეყნისთვის და ვფიქრობთ, რაც შეიძლება მალე უნდა ჩაერთოთ ჩვენი ქვეყნის მშენებლობაში, ეს აუცილებლად მოხდება, რადგან ჩვენი ქვეყანა თანდათან უფრო საინტერესო გახდება ახალგაზრდებისთვის, მათთვის, ვინც მიიღეს განათლება დასავლეთში. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენ იყოთ მონაწილე ყველა იმ პროცესის, რაც დღეს საქართველოში ხდება და კიდევ მეტი მოხდება“, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა სტუდენტებთან შეხვედრის დასაწყისში.

პრემიერ-მინისტრი სტუდენტებს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე და საგარეო პოლიტიკაში გადადგმულ ნაბიჯებზე ესაუბრა.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, საქართველომ ვიზალიბერალიზაციის პროცესში დიდ წარმატებას მიაღწია, რომელსაც ევროკავშირის წევრი ქვეყნები დადებითად აფასებენ.

სტუდენტების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია განათლების სფეროში დაგეგმილმა რეფორმამ. პრემიერ-მინისტრის თქმით, ამ რეფორმის წინაპირობა იქნება სახელმწიფო შრომის ბაზრის ფუნდამენტური კვლევა, რომელსაც მთავრობა ჩაატარებს.

ორსაათიანი შეხვედრა სტუდენტებთან კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. სტუდენტებმა მათთვის საინტერესო ყველა შეკითხვაზე პასუხი ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის მინისტრებისაგან, ასევე სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსისგან მიიღეს.

◎ გაზის „ომი“

„საქართველო საკუთარ ნავლილს შეიჭანს აგრესორის იზოლაციიდან დახსნაში?“

„ჩვენი მეზობლები — საქართველო და ირანი ერთ ნაბიჯში არიან გარიგებისგან, რომელიც აზერბაიჯანის ინტერესებსაც შეეხება. ირანმა განაცხადა, რომ ამ შეთანხმების ფარგლებში საქართველოს წელიწადში 200 მლნ კუბმეტრ გაზს მიჰყიდის. ვრცელდება ინფორმაცია, რომ პირველად შეთანხმებას მხარეებმა 16 თებერვალს, თეირანში საქართველოს ენერგეტიკის მინისტრ კახი კალაძის ვიზიტის დროს მიაღწიეს“, — წერს აზერბაიჯანული მედია.

მისივე ცნობით, ინფორმაცია ამ შეთანხმების შესახებ ირანის გაზის ექსპორტის ეროვნული კომპანიის (NIGEC) გენერალურმა დირექტორმა ალირეზა ქამელიმ გაასაჯაროვა მას შემდეგ, რაც ირანის ნავთობის მინისტრ ბიჟან ნამდარ ზანგანესა და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრ კახი კალაძეს შორის მოლაპარაკებები დასრულდა. ამასთან, ქამელიმ აღნიშნა, რომ გაზის ტრანსპორტირება სომხეთის ტერიტორიის გავლით არის დაგეგმილი.

„თეირანი და თბილისი აწარმოებენ მოლაპარაკებებს 200 მლნ კუბმეტრი ირანული გაზის ამ კავკასიურ სახელმწიფოში ექსპორტის თაობაზე. საქართველოს სახელმწიფო და კერძო სექტორის საწარმოები ირანიდან გაზის შესყიდვით დაინტერესებული არიან. მოსალოდნელია, რომ საქართველოში გაზის მიწოდება 21 მარტიდან დაიწყება. პირველი კონტრაქტი 7 თვით დაიდება და ამ სფეროში შესაძლო შემდგომი თანამშრომლობის ბაზად იქცევა. თუმცა საქართველოს ჯერ მოუწევს სომხეთის თანხმობის მიღება (სინამდვილეში კი — რუსეთის — **რედ.**)ამ მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე ტრანზიტის განსახორციელებლად. თუ გარიგების ეკონომიკური მიზანშეწონილობა დასაბუთდება, სამომავლოდ შეიძლება, წავიდეს საუბარი საშუალო და გრძელვადიან კონტრაქტებზე საქართველოში გაზის მიწოდების საკითხებში“, — დასძინა აზერბაიჯანული გამოცემის ცნობით ქამელიმ.

როგორც ცნობილია, ამ დროისთვის საქართველოში მოხმარებადი გაზის 88% აზერბაიჯანიდან შედის, ხოლო დარჩენილი 12% რუსეთის კომპენსაციაა სომხეთში გაზის საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანზიტისთვის.

შეგახსენებთ, რომ განიხილებოდა ასევე ირანული გაზის საქართველოში აზერბაიჯანის ტერიტორიის გავლით ტრანზიტის ვარიანტიც, თუმცა როგორც აზერბაიჯანული გამოცემის ჟურნალისტი ვარაუდობს, მხარეებმა სომხეთის გავლით ტრანზიტი არჩიეს.

მას პოლიტიკური დამკვირვებლების მოსაზრებაც მოჰყავს, რომლის თანახმად, სომხეთისთვის სატრანზიტო ქვეყნად ქცევა ათწლეულების განმავლობაში მიმდინარე იზოლაციიდან გამოსვლის ტოლფასია.

როგორც აზერბაიჯანელი ჟურნალისტი აღნიშნავს, კალაძის თეირანში ვიზიტამდე ცოტა ხნით ადრე იგი ბაქოს სტუმრობდა, სადაც SOCAR-ის ხელმძღვანელობას შეხვდა და მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრის დეტალები არ გასაჯაროებულა, თავის განცხადებაში ქართველმა მინისტრმა აზერბაიჯანის ტერიტორიის გავლით ირანული გაზის ტრანზიტი არ გამორიცხა, თუმცა „ახლა ცხადი გახდა, რომ ამ ვარიანტმა მეორე პლანზე გადაიწია“.

„ეს ნიშნავს, რომ აზერბაიჯანის სტრატეგიული პარტნიორი საქართველო ირანთან ერთად, რომელიც სომხეთისთვის „სარკმლის“ როლს თამაშობს, საკუთარ წვლილს შეიტანს აგრესორის (იგულისხმება სომხეთი) იზოლაციიდან დახსნაში. ბუნებრივია, აზერბაიჯანი ამით უკმაყოფილო დარჩება. ზოგიერთი ანალიტიკოსი არ გამორიცხავს, რომ ამის კვალდაკვალ დღის წესრიგში დადგეს საქართველოს გავლით სომხეთში მიმავალი აფხაზური რკინიგზის გახსნის საკითხიც — თუ რუსულ მხარესთან შესაბამისი შეთანხმება იქნება მიღწეული, ან, უფრო ზუსტად, თუ კრემლის ზეწოლა თბილისზე შედეგიანი აღმოჩნდება. ეს ზეწოლა ბოლო დროს იზრდება საქართველოს ნატოსთან დაახლოებისა და ერთობლივი სამხედრო წვრთნების ფონზე. ერთი რამ უდავოა: გაზის ახალი გარიგება სომხეთის მონაწილეობით მხოლოდ რუსეთის თანხმობითაა შესაძლებელი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მთელი ენერგეტიკული სფერო, ტრანსპორტირების მარშრუტები და გაზსადენები „გაზპრომ-სომხეთის“ მიერაა მონოპოლიზებული. დავამატებთ, რომ თებერვლის ბოლოს მოსალოდნელია თეირანში პრეზიდენტ ილჰამ ალიევის ვიზიტი. გამორიცხული არ არის, მის ფარგლებში საქართველოში გაზის ექსპორტის მარშრუტიც განიხილონ. გარდა ამისა, გავრცელდა ინფორმაცია უახლოეს მომავალში ალიევის საქართველოში დაგეგმილი ვიზიტის შესახებაც. სავარაუდოდ, ორივე ვიზიტის ფარგლებში გაზის საკითხში ყველა კითხვას საბოლოოდ გაეცემა პასუხი“, — ნათქვამია აზერბაიჯანული გამოცემის სტატიაში.

◎ სამართალი

მამუკა ღლონტი ლევან გაჩეჩილაძის დირექტორად დანიშვნას სასამართლოში ასაჩივრებს

ტელეკომპანია „მაესტროს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და 15%-იანი წილის მფლობელი მამუკა ღლონტი საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა.

ღლონტი 4 თებერვალს პარტნიორთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვს, რომლის მიხედვითაც პარტნიორთა კრებამ თანამდებობიდან ტელეკომპანიის გენერალური დირექტორი ბაია გადაბაძე გადააყენა და მის ნაცვლად ლევან გაჩეჩილაძე დანიშნა.

მამუკა ღლონტის ადვოკატმა პაატა კიკნაძემ საჯარო რეესტრს ოფიციალურად უკვე მიმართა.

მხარეები ითხოვენ რეგისტრაციის შეჩერებას მანამ, ვიდრე სასამართლო წესით კრების ოქმის კანონიერების საკითხი არ გაირკვევა.

გიგი უგულავას 50-ათასლარიანი გირაო „ჩამოაწერეს“!

სასამართლოს გადაწყვეტილებით გიგი უგულავას 50-ათასლარიანი გირაო მოუხსნეს. ასევე უნდა გაუქმდეს ყადაღა დედაქალაქის ყოფილი მერის საცხოვრებელ ბინაზე, რომელიც გირაოს უზრუნველსაყოფად იყო გამოყენებული.

პროკურორი გირაოს შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრებას გეგმავს. ბრალდების წარმომადგენლები ითხოვდნენ, ბინა, რომელიც გირაოსთვის ბანკში ჩაიდო, სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდეს.

პროცესზე გიგი უგულავას ადვოკატმა კიდევ ერთი შუამდგომლობა დააყენა. მას სურდა საქმეს მტკიცებულებად დართვოდა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის პედრო აგრამუნტის განცხადება, სადაც მან აღნიშნა, რომ უკრაინასა და საქართველოში პოლიტიკური პატიმრები არიან. თუმცა მოსამართლემ ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

გიგი უგულავას საქმეზე პროცესი პირველ მარტს განახლდება.

◎ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

საფრთხე კატასტროფად არ უნდა მოგვევლინოს!

გაეროს მოღვაწეობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება არის მსოფლიოში კატასტროფების რისკების შემცირება, მათი პრევენცია და შედეგების ლიკვიდაცია. ამ საკითხებს ეხება სენდაის პროგრამა, რომელიც გამიზნულია 2015-2030 წლებზე.

მსგავსი პროგრამები ადრეც ხორციელდებოდა, ბოლო, ე.წ. ჰიოგოს პროგრამა 2015 წელს დამთავრდა. გაერომ შეისწავლა და გააანალიზა ამ პროგრამების განხორციელების ეფექტურობა, შედეგები დადებითად მიიჩნია და გადაწყვიტა ახალი პროგრამის ჩამოყალიბება. გაითვალისწინა წინა წლების დადებითი მხარეები, თუმცა, ისიც არ დაუმალავს, რომ ჰიოგოს მოქმედების ათწლეულში, მაინც დიდი და მიუღებელი იყო მსოფლიოში კატასტროფების შედეგები. ასეთი ციფრებია ცნობილი:

ამ ათწლეულში დაიღუპა 700.000 ადამიანი, 1.5 მილიონი დასახიჩრდა, 23 მილიონი დარჩა უსახლკაროდ, კატასტროფების შედეგად ასე თუ ისე დაზარალდა 1.5 მილიარდი ადამიანი, ეკონომიკურმა ზარალმა გადააჭარბა 1.3 ტრილიონ ამერიკულ დოლარს.

გაეროს სენდაის პროგრამა მოიცავს ფართო ჩამონათვალს საფრთხეებისას, როგორიცაა: მიწისძვრა, მეწყერი, ზვავი, გვალვა, ეპიდემია, წყალდიდობა, მწერებით დაავადება, ბიოლოგიური, ბირთვული და ქიმიური საფრთხეები, ტექნიკური კატასტრფები (ავარიები), ტყის ხანძრები, კლიმატური ცვლილებები, ციკლონი, ტორნადო, ცუნამი.

ამ ჩამონათვალიდან ერთ-ერთი ყველაზე ვერაგი საფრთხე, რაც საქართველოს ემუქრება – მიწისძვრებია. ეს სტიქია საქართველოს თანმდევი მოვლენაა. მიწიძვრები, მათ შორის კატასტროფული, საქართველოში ადრეც მომხდარა და მომავალშიც მოხდება – არ ვიცით მხოლოდ როდის.

ამის დავიწყება არ შეიძლება, მიწისძვრა კატასტროფად არ უნდა მოგვევლინოს.

ამ საკითხებს მიეძღვნა საქართველოს სეისმომედეგობისა და საინჟინრო სეისმოლოგიის ეროვნული ასოციაციისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ერთობლივი კონფერენცია: **„მშენებლობის უსაფრთხოება და ხარისხი: დიალოგი ტექნიკური რეგულირების მოდერნიზაციის პრობლემების შესახებ საქართველოში“.**

კონფერენცია გაიმართა 2016 წლის 20 თებერვალს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში. კონფერენციაზე მოწვეული იყვნენ სამშენებლო სფეროსთან დაკავშირებული, პრაქტიკულად, ყველა ორგანიზაცია და ქვეყნის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ქვეყანაში დღემდე ვერ მოხერხდა მშენებლობისა და ურბანული დაგეგმარების მარეგულირებელი ეროვნული ნორმატული ბაზის ჩამოყალიბება, რაც პოტენციურ საფრთხეს უქმნის ქვეყანას. საფრთხეს წარმოადგენს არა მარტო ახალი უკონტროლო მშენებლობები, არამედ ძველი, ამორტიზებული შენობა-ნაგებობების დიდი რაოდენობის არსებობა ქალაქებსა თუ სოფლებში. აუცილებელია საქართველოში არსებული ბევრი მსხვილი ობიექტის (კაშხლები, ქიმიური საწარმოები, გაზ და ნავთობსადენები) რისკის შეფასება მათზე რეაგირების პროგრამების დასახვა.

სხდომაზე შეფასდა არსებული მდგომარეობა და გამოითქვა კონკრეტული წინადადებები რისკების შემცირების მიმართულებით.

სხდომაზე მოსმენილ იქნა საგანგებო სიტუაციების სააგენტოს ინფორმაცია ქვეყანაში საკანონმდებლო ხაზით მიმდინარე ინიციატივებზე რისკების შემცირებისა და პრევენციის მიმართულებით.

ჩვენთვის ცნობილია, რომ გაეროსა და საქართველოში მოქმედი განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით, 2019 წლის ნოემბრისთვის დამთავრდება პროგრამა „კატასტროფების რისკების შემცირება საქართველოში.“

სენდაის პროგრამის კონსტატაციურ ნაწილში სპეციალურად არის მინიშნებული სამეცნიერო და ტექნოლოგიური მეთოდების გამოყენების გადამწყვეტ როლზე სენდაის პროგრამის წარმატებულ რეალიზაციაში. ამ მიმართულებით გაერომ მოწოდებით მიმართა მსოფლიოს მრავალ სამეცნიერო ორგანიზაციას და მეცნიერებათა აკადემიას.

ასეთი წინადადება მიიღო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ. აკადემიის პრეზიდენტი გ. კვესიტაძე სპეციალური მიწვევით მონაწილეობდა შვეიცარიაში 2016 წლის 27-29 იანარს გამართულ კონფერენციაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას განზრახული აქვს, აქტიური მონაწილეობა მიიღოს გაეროს სენდაის პროგრამის საქართველოში დანერგვის პროცესში, მისი სამეცნიერო უზრუნველყოფის მიმართულებით.

გურამ გაბრიჩიძე,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
თბილისი, 2016 წლის 22 თებერვალი

◎ ინფორმაცია

სოლიდარობის ფონდმა კარგ საქმეებს დაადგა თავი

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საქართველოს სოლიდარობის ფონდის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში მოისმინეს, 2015 წლის თანამშრომლობის შედეგები შეაჯამეს და სამომავლო პერსპექტივებზე იმსჯელეს.

შეხვედრა, რომელსაც საკრებულოს წევრები, აპარატის თანამშრომლები და სოლიდარობის ფონდის წარმომადგენლები ესწრებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა გახსნა.

ანგარიში საქართველოს სოლიდარობის ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა მარიამ ჯაშმა წარმოადგინა და აღნიშნა, რომ თანამშრომლების საერთო დონაციებით სოლიდარობის ფონდში, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ერთ-ერთი ლიდერია.

მან საქართველოს სოლიდარობის ფონდის შექმნაზე, ფონდის სამწლიან სტრატეგიულ გეგმაზე, დაფინანსების არსებულ და შესაძლო წყაროებზე, დონაციების საერთო მოცულობაზე, განხორციელებულ საქმიანობაზე და ფონდში თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეტანილ წვლილზე ისაუბრა და საკრებულოს თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა.

„სოლიდარობის ფონდში თანამშრომლების საერთო დონაციებით თბილისის საკრებულო ერთ-ერთი ლიდერია. 2014 წლის ივლისიდან დღემდე, ფონდში საერთო ჯამში 5.7 მლნ ლარის მობილიზება მოხერხდა.

ფონდის საქმიანობის შესახებ ძალიან საინტერესო პრეზენტაცია მოვისმინეთ. უმნიშვნელოვანესია, რომ ფონდის დაფინანსებით მკურნალობის შედეგად მრავალი ბავშვი გადარჩა.

ბუნებრივია, ასეთი აქტივობა მისასალმებელია. მოხარული ვარ, რომ ერთ-ერთი სოლიდური წარმომადგენელი საჯარო სექტორიდან, რომელსაც სოლიდარობის ფონდში თავისი წვლილი შეაქვს, თბილისის საკრებულოა. მინდა, საკრებულოს თანამშრომლებს და სოლიდარობის ფონდს მადლობა გადავუხადო, რადგან ეს არის მართლაც სოლიდური და ძალიან გულწრფელი დახმარება ჩვენი თანამოქალაქეებისა“, – განაცხადა გიორგი ალიბეგაშვილმა პრეზენტაციის შემდეგ.

საქართველოს სოლიდარობის ფონდი 2014 წელს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით შეიქმნა.

დაფუძნებიდან დღემდე ფონდს საჯარო სამსახურის 55 000 - ზე მეტი თანამშრომელი, 23 კერძო კომპანია და 53 სტუდენტური ორგანიზაცია შეუერთდა.

კახა შარტავას „მასტერ-კლასი“

„ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერი კახა შარტავა აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნებას გეგმავს. for.ge-ს ინფორმაციით, კახა შარტავა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ჩართვას აპირებს და ის პარტიის სიის სათავეშიც იქნება. წყაროს ცნობით, იმის გათვალისწინებით, რომ შარტავა ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის სიმპათიით სარგებლობს, „ეროვნული ფორუმი“ შარტავას სახით პარტიის თამამასის აწევას შეეცდება.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი გუბაზ სანიკიძე წინასაარჩევნო პერიოდში შარტავას გააქტიურებას არ გამორიცხავს, ვინაიდან თვლის, რომ შარტავა პოლიტიკაში ყოველთვის აქტიურად იყო და პარტიულ სტრუქტურებში მუშაობდა.

„არაფერი გამორიცხული არ არის. ტელევიზორში ხშირი არგამოსვლა, პოლიტიკიდან წასვლას არ ნიშნავს. მართალი გითხრათ, მისი განწყობაც ასეთია“, – ამბობს სანიკიძე, რომლის პათოსს იზიარებს „ეროვნული ფორუმის“ წევრი, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ანი მიროტაძე.

როგორც for.ge-ს მიროტაძემ განუცხადა, პარტია რიგგარეშე ყრილობისთვის ემზადება, რომელიც მარტში გაიმართება და ყრილობაზე გადაწყდება, „ეროვნული ფორუმი“ რას გააკეთებს.

მიროტაძის ცნობით, შარტავა პოლიტიკაში აქტიურად ჩართულია და პარტიული ღონისძიებებით არის დაკავებული.

„თავის დროზე, შარტავამ გადაწყვიტა, რომ ეს პერიოდი „ეროვნული ფორუმის“ სტრუქტურების გამყარებისთვის და გაძლიერებისთვის გამოეყენებინა. ეს ასეც მოხდა. 2016 წლის არჩევნებში აქტიურად ჩართული იქნება, თუმცა, ამ ეტაპზე იმის თქმა, სიაში იქნება თუ არა, ძალიან ჭირს. ყრილობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას ყველა დაემორჩილება და ყველა წევრი ფუნქციას თავის თავზე აიღებს“, – აცხადებს მიროტაძე.

კახა შარტავა 2012 წლის წინასაარჩევნო პერიოდში, პოლიტიკაში აქტიურად იყო ჩართული, თუმცა, მან კოალიცია „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, თანამდებობის დაკავების სურვილი არ გამოხატა და პოლიტიკურ კულისებში გადაინაცვლა.

ის, რომ კახა შარტავა ბიძინა ივანიშვილის სიმპათიით სარგებლობს, ამის თაობაზე პარლამენტის ტრიბუნიდან გუბაზ სანიკიძემ ისაუბრა და აღნიშნა – „ბიძინა ივანიშვილის სიტყვებია: **კახა შარტავამ მასტერ-კლასი ჩაგვიტარაო“. იქნება თუ არა მომავალი მოწვევის პარლამენტში შარტავა და დეპუტატებს ჩაუტარებს თუ არა „მასტერ-კლასს“, ამას დრო აჩვენებს, თუმცა, ამ მოწვევის უწყებაში „ეროვნული ფორუმი“ ისეთი აქტიური არ არის, როგორც ის ოპოზიციაში ყოფნის დროს იყო. ამის მიზეზებზე პარტიის წევრები ღიად არ საუბრობენ, თუმცა, ისინი ამ რეალობას ამჩნევენ და გააქტიურებას გეგმავენ.**

თეონა მანაგაძე

◎ სავალუტო ბაზარი

ჩვენს ფულს თავადვე უნდა მოვუფრთხილდეთ

ამ ბოლო ერთ წელზე მეტი ხნის მანძილზე ლარის გაუფასურების მიზეზებს შორის, ერთ-ერთ მთავარად ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინების შემცირებას ასახელებენ. მართებულია ისიც, რომ დოლარის მიმართ ლარის შესუსტება ასევე გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური მიზეზებითაა გამოწვეული, რომ დოლარი სხვა ქვეყნების ეროვნული ვალუტების მიმართაც გამყარდა და ეს პროცესი დღესდღეობითაც გრძელდება და ესეც სინამდვილეს შეესაბამება. მაგრამ საქმე ისაა, რომ ნაკლებად ლაპარაკობენ იმის თაობაზე, რომ უცხოური ვალუტის დეფიციტის პირობებში, ქვეყნიდან დიდძალი სახსრები გაედინება ისე, რომ არც სახელმწიფოს, არც მოსახლეობას აქიდან არანაირი სარგებელი არა აქვს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ საქართველოს ფულის ბაზარზე (რომელიც, როგორც ეკონომიკის საფუძვლებიდანაა ცნობილი, ისეთივე საქონელია, როგორიც, ვთქვათ, ბრინჯი ან კბილის ჯაგრისი) დოლარები დიდი ოდენობით იყიდება და მათ არარეზიდენტი უცხოური ბანკები იძენენ, რომლებსაც სხვადასხვა გზებით იგი ქვეყნიდან გააქვთ.

განმარტების სახით ვიტყვით, რომ ტერმინი **„არარეზიდენტი“** იმას ნიშნავს, რომ მოცემული ფინანსური თუ იურიდიული პირი საქართველოში რეგისტრირებული არ არის და, შესაბამისად, მასზე არც აქაური საფინანსო თუ იურიდიული კანონმდებლობა არ ვრცელდება. არადა, **საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2015 წელს არარეზიდენტმა ბანკებმა ქვეყნის კომერციული ბანკებისგან 800 მილიონი დოლარი შეიძინეს. მაგალითისთვის კი შეიძლება იმის თქმა, რომ 2014 წელს ეს მაჩვენებელი 438 მილიონი დოლარი იყო, მაშასადამე, შარშან ეს თანხა ერთნახევარზე მეტად გაიზარდა.** მარტო ამ ციფრიდან გამომდინარე, აუცილებელი არ არის, კაცი ექსპერტი იყოს, რომ დაინახოს: თუ ეს ტენდენცია არ შეიცვლება, ქვეყანაში ლარის დეფიციტი უფრო მეტად იჩენს თავს, ეროვნული ვალუტის გაუფასურება კვლავაც გაგრძელდება, ეკონომიკის წინაშე მდგარი პრობლემები კი გამძაფრდება.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საქართველოს კომერციული ბანკებისგან წლის მანძილზე დოლარების დიდი ოდენობით შეძენა, მით უმეტეს უახლოეს სამეზობლოში (კერძოდ, რუსეთსა და აზერბაიჯანში) მისი არნახული გამყარების პირობებში, არც სახელმწიფოსთვის, არც მოსახლეობისთვის დიდი სარგებლის მომტანი არ არის. ამის თქმის უფლებას ისევ ეროვნული **ეკონომიკის არასაკმარისი განვითარება გვაძლევს, რადგან ამ ოდენობით ვალუტა ამ ბანკებს ადგილობრივ ბაზარზე სამოღვაწეოდ რომ დასჭირდებოდათ, ეს მას სათანადოდ დაეტყობოდა როგორც პროდუქციის წარმოების, ასევე ახალი სამუშაო ადგილების ოდენობის მატების მხრივ.** ამდენად, დიდი ალბათობით უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ფული ქვეყნის ფარგლებს გარეთაა გატანილი. ამ მოსაზრებას ის გარემოება ამაგრებს, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უახლოეს სამეზობლოში ადგილობრივი ეროვნული ვალუტები დოლარის მიმართ დიდადაა გაუფასურებული, რაც ნედლ ნავთობზე მსოფლიო ბაზარზე ფასის სარეკორდო შემცირებითაა განპირობებული. ამდენად, გარკვეული თანხების გადინების ვარაუდი ამ ქვეყნებში საერთო სურათს სავსებით ორგანულად ერგება. გასათვალისწინებელია ასევე იურიდიულ პირთა მიერ შეძენილი დოლარების მასა, რომელმაც, მართალია, შარშან, წინა წელთან შედარებით, საგრძნობლად იკლო, მაგრამ მაინც 575 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების მთლიანი მოცულობის შემცირებითაა განპირობებული.

იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო წლებში უცხოეთიდან კერძო ფულადი გზავნილების მოცულობა საგრძნობლადაა შემცირებული, მოსახლეობა უფრო მეტ ვალუტას ყიდულობს, ვიდრე ყიდის, რაც, თავისთავად, მისი დეფიციტის ერთ-ერთი მიზეზია, თუმცა არა განმსაზღვრელი.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ექსპერტების აზრით, ქვეყნის საფინანსო სფეროში არსებული მდგომარეობისა და ლარის კურსის შემცირების პირობებში, **აუცილებლად საჭიროა შიდა ბაზარზე უცხოური ვალუტის შესყიდვასთან დაკავშირებით გარკვეული რეგულაციების შემოღება, რისი მიზანი მისი საქართველოდან გადინების კონტროლი იქნება. ამასთან, გარკვეული ცვლილებებია შესატანი დოლარის კურსის განსაზღვრის წესშიც.**

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგ სპეციალისტს ვალუტით ვაჭრობაში რეგულაციების შემოღება არამართებულად მიაჩნია და მისი დეფიციტის შევსების უმთავრეს გზად ახალი დიდი ინვესტიციების მოზიდვას მიიჩნევს.

ასეა თუ ისე, მანამდე, ვიდრე ლარის კურსი, ხანგრძლივ პერსპექტივაში, მდგრადობას არ შეიძენს, რაც ახლანდელი ტენდენციების გათვალისწინებით, ზოგიერთი ექსპერტის აზრით, დოლარში 2,4 ლარი იქნება, მისი მერყეობა ინვესტიციების შემოდინებისთვის მეტად არახელსაყრელი გარემოება იქნება. ხოლო უიმათოდ ეკონომიკური ზრდის დასახული პარამეტრების მიღწევაც კი უახლოეს წლებში პროლემური ჩანს. ამდენად, რეგულირების შემოღების ერთ-ერთი არგუმენტიც ეს გახლავთ.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ექსპორტი სხვისი პროდუქციით

შემოტანას რა აზრი აქვს, თუ ვერ გაყიდი?!

ავტობიზნესი ლიდერთა სამეულიდან ამოვარდება

ავტობიზნესი შეიძლება, საექსპორტო მიმართულების ლიდერთა ჯგუფიდან ამოვარდეს. ამ ეტაპზე საქართველოდან ყველაზე დიდი რაოდენობით სპილენძის მადნები გადის, ავტომობილები კი მესამე ადგილზეა. განსაკუთრებული პრობლემა ავტობიზნესს აზერბაიჯანსა და სომხეთში დაწესებულმა შეზღუდვამ შეუქმნა.

აზერბაიჯანის საბაჟო კომიტეტის მონაცემებით, ავტომობილების იმპორტი ამ ქვეყანაში 9,4-ჯერ შემცირდა. ასეთი ვარდნა ბოლო 16 წლის განმავლობაში არ ყოფილა. აღსანიშნავია, რომ 2015 წელს ავტომობილების იმპორტი 2,36-ჯერ შემცირდა, 2014 წელს კი თითქმის 40%-ით.

იანვარში აზერბაიჯანში სულ 437 ავტომობილი შეიყვანეს, რომელთაგან 401 მსუბუქი იყო. ავტომობილების იმპორტის ღირებულება საჯარო არ არის, თუმცა ცნობილია, რომ სატრანსპორტო საშუალებებისა და სათადარიგო ნაწილების იმპორტმა 11,9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 4,5-ჯერ ნაკლებია 2015 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელზე.

მეზობელ ქვეყნებში არსებული ამგვარი ტენდენცია დიდ პრობლემას უქმნის საქართველოში ავტობიზნესით დაკავებულ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს. ამას ემატება ისიც, რომ ჩვენთან კანონმდებლობაც იცვლება, რეგულაციები მკაცრდება და განბაჟებაც ძვირდება (გარკვეული კატეგორიის მანქანებზე). ყველა ამ ნიუანსს თუ გავითვალისწინებთ, მცირე ბიზნესის წარმომადგენლები ამ ბიზნესში ვეღარ იქნებიან.

„თუ მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაცია საერთოდ აიკრძალება, ხოლო მარცხენასაჭიანი მანქანების ღირებულება 100 პროცენტით გაიზრდება, ეს ყველაზე მეტად მცირე ბიზნესს დააზარალებს. მსხვილი კომპანიები კი, რომლებსაც კაპიტალიც უფრო მეტი აქვთ და ბრუნვაც, თავიანთ მოგებას გაზრდიან. ავტოდილერების მდგომარეობა დღეს შეიძლება შევადაროთ გარემოვაჭრეების მდგომარეობას: ისინი კონკურენციას უწევენ ბაზრებს და დიდ კომერციულ ობიექტებს, რომლებსაც მათი არსებობა სულაც არ მოსწონთ.

რაც შეეხება ხელისუფლების სურვილს, რომ ავტოპარკი უნდა განახლდეს, ეს ადამიანის კეთილდღეობის და მისი შემოსავლის ზრდის გარეშე წარმოუდგენელია. როცა ქვეყანაში გვაქვს ეკონომიკური სტაგნაცია და მოქალაქის შემოსავალი ყოველდღიურად იკლებს, მას აღარა აქვს საშუალება, რომ პირადი ნივთები განაახლოს, მათ შორის, ავტომობილიც. ის ცდილობს, დანაზოგი გააკეთოს და თავისი მანქანა დიდხანს შეინარჩუნოს. საქართველოში ყველაზე დიდი მოთხოვნა შედარებით იაფფასიან ავტომანქანებზეა. შესაბამისად, ავტოპარკის განახლება ამ რეგულაციებით შეუძლებელი იქნება. გამოდის, რომ ადამიანებს ვართმევთ უფლებას, ავტომობილი მათთვის ხელსაყრელ და მისაწვდომ ფასად შეიძინონ“, — აცხადებს ეკო ტრასპორტ ცენტრის ხელმძღვანელი **ვასო ურუშაძე.**

საქართველოს საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი, შალვა ოგბაიძე „ბიპიენთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ ავტობიზნესი საქართველოში ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო დაკნინდა.

„ამ ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი მიზეზი ჩვენი ქვეყნის მიმზიდველი გეოპოლიტიკური მდგომარეობა იყო: დასავლეთიდან აქ შემოსული მანქანები მეზობელ ქვეყნებში ნაწილდებოდა — მხედველობაში მაქვს აზერბაიჯანი, სომხეთი და შუა აზიის რესპუბლიკები. რეექსპორტის შეჩერება საქართველოსგან დამოუკიდებელმა მიზეზებმა განაპირობა. ეს არც ნაციონალური მოძრაობის ბრალია და არც — ამჟამინდელი ხელისუფლების. რეექსპორტის შეჩერება იმ შეზღუდვებმა გამოიწვია, რომელიც ჩვენს მეზობელ ქვეყნებში გატარდა. პირველ რიგში, ეს დაიწყო ყაზახეთიდან, სადაც 2011 წლამდე საქართველოდან დაახლოებით 25 ათასი სატრანსპორტო ერთეული შედიოდა.

მას შემდეგ, რაც ყაზახეთი ერთიანი საბაჟო კავშირის წევრი გახდა, ამ ქვეყნის ბაზარი დაიკარგა. ამას დაერთო 2014 წლის 1 აპრილს აზერბაიჯანის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც იქ ევრო-4-ის სტანდარტი დამკვიდრდა და ათ წელზე მეტი ხნის ავტომობილების შეყვანა აიკრძალა. რა თქმა უნდა, აზერბაიჯანში ჩვენგან დღესაც გადის მანქანები, მაგრამ ეს ათ წელზე უფრო ახალგაზრდა ავტომობილებია. შარშან, 1 იანვრიდან სომხეთიც შეუერთდა ევრაზიულ კავშირს და ეს ბაზარიც დავკარგეთ. რაც შეეხება რუსეთს, ის თვითონ გახლავთ ავტომობილების მწარმოებელი ქვეყანა, რომელიც პროტექციონისტულ პოლიტიკას ატარებს. ისინი საკუთარ ქვეყანაში დამზადებულ ავტომობილებს ანიჭებენ უპირატესობას და ამის გამო რუსეთში მესამე ქვეყნიდან შესული ავტომობილები ძალიან იბეგრება. იგივე შეიძლება ითქვას თურქეთზე, რომელიც თვითონ არის მწარმოებელი ქვეყანა“, — ამბობს **შალვა ოგბაიძე.**

საქართველოდან ყველაზე დიდი რაოდენობით სპილენძის მადნები და კონცენტრანტები გადის, შემდეგ მას მოჰყვება ფეროშენადნობები, მესამე ადგილზეა ავტომობილები, რომლის ექსპორტი მკვეთრად არის შემცირებული და შეიძლება ის სამეულიდან საერთოდ ამოვარდეს.

ბექა დანელია

◎ ინფორმაცია

რუსეთი ოკუპირებულ აფხაზეთს სარკინიგზო კრედიტის გადასახადს მოუხსნის

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ოკუპირებული აფხაზეთისთვის სარკინიგზო კრედიტის მოხსნასთან დაკავშირებული განკარგულება გასცა.

ამის შესახებ დე ფაქტო პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ ე.წ ადმინისტრაციაში ბრიფინგზე განაცხადა.

„გაიცა განკარგულება სარკინიგზო კრედიტის ტვირთის მოხსნასთან დაკავშირებით. ვიმედოვნებთ, რომ ეს საკითხი დადებითად გადაწყდება. ჩემი თანდასწრებით შესაბამისი მითითება მისცეს იმათ, ვინც ამ საკითხზეა პასუხისმგებელი“, — აღნიშნა ხაჯიმბამ. **ხაჯიმბამ ასევე განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავე ადამიანების ცალკეულ კატეგორიას ხელფასი გაეზრდებათ.**

ტირანია მოვიშორეთ, ახლა დემოკრატია გვიტევს

ბუდარაობენ რესპუბლიკელები ქართულ პარლამენტში და წიწილებს ამერიკულად გვიჩეკენ

ვფიქრობ, მკითხველს მინიშნებაც არ სჭირდება, წერილში რა ტირანიაზე იქნება საუბარი. საქართველოში მთელი 9 წლის მანძილზე ტირანია რომ მძვინვარებდა და ქვეყანას დემოკრატიის შუქურად მოვლენილი პირდორბლიანი ტირანი მართავდა, ახლა ამის აღიარება სტაჟიან მიშნაცებსაც აღარ ეთაკილებათ. აღარაფერს ვამბობ თვით ტირანის მარწუხებიდან ხალხის მხსნელ ივანიშვილზე, რომელმაც პირობა მოგვცა, მოკლე დროში საქართველოში ისეთ დემოკრატიას ავაშენებ, რომ ბევრის მნახველ ევროპელებსაც კი გაკვირვებისგან პირდაღებულებს დავტოვებო.

ვერ გეტყვით, ევროპელები რამდენად აღფრთოვანებული არიან საქართველოში დაპირებული დემოკრატიული აღმშენებლობის პარამეტრებით, აგრეთვე მათივე შემოგდებული ქვეყნის ინოვაციური კოჰაბიტაციური მმართველობის შედეგებით, მაგრამ ამ შედეგების დამჭაშნიკებელი ხალხი რომ გვარიანად უკმაყოფილოა, ამას ვერსად გავექცევით. ფაქტია, რომ ბიძინა ივანიშვილმა ქვეყანას სისხლისმწოველი ტირანი კი მოაშორა (ზოგი ფიქრობს, რომ ხალხმა თავად მილიარდერს მოაშორა სააკაშვილი), მაგრამ მან საქართველოში ვერც შეპირებული სამართლიანობა დაამკვიდრა და ვერც დასავლური დემოკრატია აზეიმა.

თუმცა ჩვენი მხრიდან უმადურობა და დაუნახაობა იქნება იმის არაღიარება, რაც ოცნების მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლამ ქვეყანას მოუტანა. დღეს ყველა ხედავს **საქართველოში ბიზნესს აღარავინ აყაჩაღებს, განსხვავებული აზრის გამო ადამიანებს ციხეებში აღარავინ ისტუმრებს, თუმცა ამ განსხვავებული აზრის შემფასებლებად და ნათლიებად რატომღაც ხალხის მიერ ხელისუფლებიდან გაყრილი და „ოცნებისგან“ ხელმეორედ გაცოცხლებული ნაცბანდელები მოგვევლინნენ. ამ უკანასკნელთა შიშით, ემანდ ქვეყნის მოღალატეობა არ დაგვწამონო, ამ დემოკრატიით მოყირჭებულ საქართველოში, კაცს ხმა ვეღარ ამოუღია. აბა ვინმემ გაბედოს და თქვას — ნატოში შესვლის აუცილებლობას ვერ ვხედავო (არადა, მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ აზრისაა), მას მაშინვე ანტიდასავლური კურსის მომხრის და პუტინის მონის იარლიყს მიაწებებენ.** მნიშვნელობა არა აქვს, ეს პიროვნება რიგითი მოქალაქეა, მთავრობის წევრი თუ პარლამენტარი. ნაცების და მათი სატელიტი პოლიტიკოსების აკვიატებულ ანტიეროვნულ კურსს თუ არ ეთანხმებით, უბრალოდ, ხალხის მტერი ხართ და ქვეყნის დამაქცევარი.

ამის დასტურია ბოლო პერიოდში (და არა მარტო ბოლო პერიოდში) ქვეყნის პარლამენტში დატრიალებული პოლიტიკური ქარაშოტი თუ ქარიშხალი, რომლის მოწმენიც ჩვენ ყველანი გავხდით. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ პარლამენტში წლიური ანგარიშით მისულ პრეზიდენტს მრეწველთა ლიდერმა გოგი თოფაძემ კრიტიკა შებედა და ზოგიერთ საკითხზე საკუთარი თვალსაზრისი გამოთქვა. კერძოდ, მან გაიხსენა ამ 12 წლის წინათ ჟურნალ „დრო მშვიდობისაში“ გამოქვეყნებულ გიორგი მარგველაშვილის სტატიიდან სიტყვები, როცა ავტორი ქართველ ერს დაუნებს ადარებს და მიუთითა, რომ თუ ბატონი პრეზიდენტი ქართველ საზოგადოებას ამგვარ შეფასებას აძლევს, მაშინ მას ამ ქვეყნის პრეზიდენტობაც არ უნდა ეკადრებინა.

თოფაძის ამ განცხადების პასუხად, როგორც მოსალოდნელი იყო, ნაციონალთა ყოჩების, მათი მხარდამჭერი პარტიების და ენჯეოების წარმომადგენელთა მთელი არმადა აღიმართა. მათ ისარგებლეს იმით, რომ თოფაძემ მარგველაშვილის აზრის ციტირებისას, შეცდომით „დებილის“ ნაცვლად სიტყვა „დაუნი“ იხმარა, დეპუტატი გონებასუსტ, დაუნებად დაბადებულ ადამიანთა მტრად გამოაცხადეს და მის წინააღმდეგ სალაშქროდ განაწყვეს. რა თქმა უნდა, თოფაძემ, რომელსაც მიზნად არ ჰქონია დაუნთა შეურაცხყოფა, ამ გაუგებრობისთვის საზოგადოებას ბოდიში მოუხადა და ამავე დროს მოუწოდა საქართველოს პრეზიდენტს, მანაც მოიხადოს ბოდიში იმ სიტყვებისთვის, რომლითაც მან ქართველი ერი შეურაცხყო.

მოიხადა პრეზიდენტმა ბოდიში ერის შეურაცხყოფისთვის? ნურას უკაცრავად, მარგველაშვილს არც ბოდიში მოუხდია და არც განმარტება გაუკეთებია, რა მეცნიერული კვლევა-აღმოჩენისთვის დასჭირდა ასეთი კადნერება. თავად თოფაძისთვის კი არასამთავრობოების ერთი ნაწილი დეპუტატის მანდატის შეჩერებას ითხოვს. მას ისეთი ხალხიც კი აკრიტიკებს, რომლებიც ახლო წარსულში თავად ლანძღავდნენ მარგველაშვილს, **ამჟამად კი მისთვის რატომღაც არავის უკითხავს, დღესაც იმავე აზრისაა თუ არა პრეზიდენტი ხალხზე, რომელიც მან დებილებს შეადარა. ვთქვათ, თოფაძის განცხადება იყო შეცდომა, მაგრამ ის სამეცნიერო ნაშრომი, რაზეც მან მიგვანიშნა, რეალურად ხომ არსებობს? საინტერესოა, თოფაძის მგმობელთაგან რატომ არავის გაუჩნდა შეკითხვა პრეზიდენტთან, ის, როგორც პოლიტიკოსი, იმავეს ფიქრობს მშობლიურ ხალხზე, რასაც, როგორც მეცნიერი, ფილოსოფიური აღმოჩენების პერიოდში ფიქრობდა?**

ამასობაში, ვიდრე მარგველაშვილი მოიფიქრებდეს, როგორ გამოძვრეს თავისი ადრეული მეცნიერულ-ფილოსოფიური ხედვებიდან, თოფაძე ქალბატონ თინა ხიდაშელის მისამართით გაკეთებული განცხადების გამო ახალ ხათაბალაში გაება. მან ვერ გაითვალისწინა, რა რეაქცია შეიძლება მოჰყოლოდა მის მკვახე გამოსვლას და თავდაცვის მინისტრი საგარეჯოში ჩატარებული არჩევნების გაყალბებაში დაადანაშაულა. მოულოდნელმა ბრალდებამ, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, მინისტრის თანაპარტიელი რესპუბლიკელები განაწყენა, მათი ლიდერი ძმები — ლევან და დავით ბერძენიშვილები კი, როგორც იტყვიან, ფარაში შევარდნილი მგლებივით გააცოფა. **საქმე იქამდე მივიდა, რომ 17 თებერვალს პარლამენტის სხდომა ფიცხელ ბრძოლას დაემსგავსა, გოგი თოფაძემ, ზურაბ ტყემალაძემ და დავით ბერძენიშვილმა თინა ხიდაშელის გამო ერთმანეთზე ისე გაიწიეს, რომ მანდატურების გასაკავებლები დარჩნენ.**

მრეწველთა და რესპუბლიკელთა დაპირისპირების ახალი ტალღა 18 თებერვალს თოფაძის მიერ გაკეთებულმა ახალმა განცხადებამ გამოიწვია. მისი თქმით, ბერძენიშვილებს ტყუილად ჰგონიათ, რომ რესპუბლიკელებს კოალიციაში წამყვანი პოზიცია უკავიათ, სინამდვილეში ისინი მოსახლეობას ისე სძულს, როგორც თავის დროზე მურვან ყრუ სძულდა, ამიტომ ესენი (რესპუბლიკელები), ვერ გაბედავენ, რომ ცალკე გავიდნენ, ვიღაცას უნდა ჩამოეკიდონ. თავის მხრივ, არც ძმებმა ბერძენიშვილებმა მოაკლეს სარკაზმი ავსიტყვა თოფაძეს. როგორც ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა, ამ ყველაფრის შემდეგ „გოგის ვერ ხედავს ვერც პოლიტიკაში და ვერც ბიზნესში“.

თოფაძის მიმართ საერთო-სახალხო აღშფოთებას არ იზიარებს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მეჭიაური, რომელიც აღიარებს, რომ გოგის მართალია, სიტყვები შეეშალა, მაგრამ ამის გამო ბოდიში მოიხადა და დახვრეტას და მანდატის დატოვებას ნამდვილად არ იმსახურებს. **მეჭიაურის განმარტებით, თოფაძეს აქვს შესაბამისი მტკიცებულებები აუდიომასალის სახით, რომლითაც საგარეჯოს არჩევნებში, სპეცუბნის შექმნასთან დაკავშირებით, თინა ხიდაშელის ბრალეულობა იკვეთება. ჯარისკაცების ტრანსპორტირება, დისლოკაცია, კვება, დამატებით ხარჯებს მოითხოვს, რაზეც თავდაცვის მინისტრმა პასუხი უნდა აგოს.** სამართალდამცავი ორგანოები უნდა დაინტერესდნენ ამ საქმის გამოძიებით და დამნაშავის დადგენით, რათა მსგავსი თავხედური ნაბიჯების გადადგმა სხვებმა ვეღარ გაბედონ.

რესპუბლიკელებს ჯერ უხიაგო თოფაძის გამოხდომებიც არ ჰქონდათ მონელებული, რომ დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილეობიდან გადამდგარი სანდრო ბრეგაძის განცხადებამ მათ ახალი თავსატეხი გაუჩინა. როგორც ბრეგაძემ ტელეეთერით გამოსვლისას თქვა, გადადგომა რესპუბლიკელებმა აიძულეს: თინა ხიდაშელი შევიდა პრემიერ კვირიკაშვილთან და ულტიმატუმი წაუყენა, ან სანდრო ბრეგაძე გაუშვით ან ჩვენ წავალთ კოალიციიდანო. ბრეგაძეს არ უნდოდა, პრემიერი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილიყო და გადადგომა ამჯობინა.

მაინც რას ერჩოდნენ ბრეგაძეს რესპუბლიკელები და რატომ მოითხოვდნენ ხელისუფლებიდან მის მოცილებას? მინისტრის ყოფილი მოადგილის მტკიცებით, რესპუბლიკელები იმიტომ გადაეკიდნენ, რომ პატრიარქს უჭერდა მხარს, ერთსქესიანთა ქორწინების შესაძლო დაკანონების სასტიკი მოწინააღმდეგე იყო და ამ თემაზე რეფერენდუმის ჩასატარებლად ხელმოწერებს აგროვებდა. **მისი აზრით, სწორედ რესპუბლიკელები აფერხებენ საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომელიც კრძალავს ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას. თოფაძის მსგავსად, ის საგარეჯოს არჩევნების თემასაც ეხმიანება და ამტკიცებს, რომ იქ რესპუბლიკელებმა დანაშაული ჩაიდინეს.**

ამაზრზენი საყურებელი იყო, — ამბობს სანდრო ბრეგაძე, — როცა ყვავყორნებივით დაესივნენ გოგი თოფაძეს თავისივე კოალიციის წევრები. არადა, რა თქვა მან ტყუილი? არაფერი, თითქმის ყველაფერი სიმართლე თქვა. მისი მტკიცებით, რესპუბლიკელებს ვერც პარლამენტში იტანენ და ვერც მთავრობაში, მაგრამ ბევრი რატომღაც დუმილს ამჯობინებს. ის ამ ადამიანებს ხმის ამოღებისკენ მოუწოდებს. დიახ, რესპუბლიკელები მთელი თავიანთი არსებობის მანძილზე საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიდიოდნენ და ეს ღიად უნდა ითქვასო.

ასეთია ის ტკბილ-მწარე რეალობა, რომელიც კოალიციაში შემავალი პარტიების ბოლო პერიოდის ცხოვრებაში გამოიკვეთა. თავიდანვე ცნობილი იყო, რომ ამ პოლიტიკურ ძალებს შორის, რომელთაც კოალიციაში აერთიანებს მხოლოდ პარლამენტში მოხვედრის გარანტია, ბოლოს და ბოლოს, თავს იჩენდა შეუთავსებლობა და ასეც მოხდა. რა თქმა უნდა, ძნელია, დავეთანხმოთ გოგი თოფაძეს, რომ რესპუბლიკელები ხალხს მურვან ყრუსავით ან კოჭლ თემურლენგივით ეზიზღებათ, მაგრამ რომ არც ესიყვარულებათ?ამის მიზეზიც აქვთ. რაში გვჭირდება მაგათი ინტელექტუალობა, ამბობს ხალხი რესპუბლიკელებზე, თუ ჩვენს მამაპაპურ ტრადიციებსა და მენტალობას დაგვაკარგვინებენ, ჩვენთან პარლამენტში ისხდებიან და წიწილებს კი ამერიკულად გამოჩეკავენო?

ასეთ ვითარებაში, ალბათ, ყველაზე კარგ გამოსავალს დეპუტატმა თამაზ მეჭიაურმა მიაგნო — ყველამ იყაროს კენჭი დამოუკიდებლად. ვისაც ერთმანეთის გარეშე პოლიტიკური ცხოვრება არ შეუძლია, მერე ერთად დაწყვილდნენ და მშვიდობაში მოიხმარონ ის მანდატები, რომელთაც მოსახლეობა მისცემს. ჰ ოდა, ჰო, დაველოდოთ ხალხის არჩევანს!

ოთარ ხუციშვილი

◎ ინფორმაცია

მოლაპარაკებები ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე წლის ბოლომდე დასრულდება

თბილისში საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებების პირველი რაუნდი გაიმართა. მხარეებმა განიხილეს როგორც უშუალოდ შეთანხმების ძირითადი მიმართულებები, ასევე კონსულტაციების გამართვის სავარაუდო განრიგი, — აცნობეს მედიანიუსს ეკონომიკის სამინისტროდან.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის გენადი არველაძის განცხადებით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოლაპარაკებები თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების საკითხზე 2016 წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს. მოლაპარაკებების მეორე რაუნდი გაიმართება 2016 წლის მაისში. მომდევნო კონსულტაციები ყოველ ორ თვეში გაიმართება.

გენადი არველაძის განცხადებით, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ამოქმედების შემდეგ, ქართველ მწარმოებლებს შესაძლებლობა ექნებათ, პროდუქცია ჩინეთის ბაზარზე დამატებითი საბაჟო გადასახადის გარეშე შეიტანონ. საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკების დაწყების გადაწყვეტილება მიიღეს ორი ქვეყნის პრემიერ-მინისტრებმა 2015 წლის 10 სექტემბერს ჩინეთში ქ. დალიანის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში. 2015 წლის 10 დეკემბერს კი ჩინეთში ხელი მოეწერა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კომერციის სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის ჩინეთი-საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დაწყების შესახებ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

ᲒᲐᲓᲐᲛᲓᲔᲑᲘ ᲑᲐᲪᲘᲚᲐ ᲞᲝᲡᲢᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ?!.

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲡ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ იცით, მთავრობის ცვლილებასთან ერთად, საგამომცემლო ბაზარზე თამაშის წესები შეიცვალა. სახელმძღვანელოების გამომცემლებმა დაკარგეს შემოსავლის 50, 70, 80 პროცენტი, ხოლო ზოგიერთი მცირე გამომცემლობა დღეს საერთოდ აღარ არსებობს. მათი ბიზნესი განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებას შეეწირა, რომლის მიხედვითაც, სასკოლო სახელმძღვანელოები სახელმწიფომ დაბეჭდა და მოსწავლეებს უფასოდ დაურიგა. ამ სოციალურმა პროექტმა საზოგადოების მადლიერება, ხოლო გამომცემლების იმიჯის შელახვა და მორალური თუ ფინანსური ზიანი გამოიწვია. გამომცემლებმა ჩივილი სასამართლოში განაგრძეს, თუმცა, ორი ინსტანციის სასამართლომ გამომცემელთა საჩივარი არ დააკმაყოფილა. საქმე უზენაეს სასამართლოშია გასაჩივრებული, მაგრამ განხილვის დაწყებას საშველი არ დაადგა. დარღვეულია ყველა კანონიერი ვადა... გამომცემლებს არც ამ უმაღლესი ინსტანციის სამართლიანობის იმედი აქვთ, ამიტომაც, დიდი ალბათობით, სტრასბურგისთვის ემზადებიან. მით უფრო, რომ მათ მხარს უჭერს გამომცემელთა მსოფლიო ასოციაცია და აბსოლუტურ სოლიდარობას უცხადებს. როგორ მოხდა ამ ასოციაციისთვის ხმის მიწვდენა და მათი უპირობო მხარდაჭერის მოპოვება, ამაზე ვრცლად გვესაუბრებიან საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის პრეზიდენტი გვანცა ჯობავა და გამომცემლობა „ინტელექტის“ ხელმძღვანელი კახმეგ კუდავა.

გვანცა ჯობავა: — ჩვენ 2007 წლიდან ვართ გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის წევრი. ეს ორგანიზაცია ყოველწლიურად ატარებს სახელმძღვანელოების გამომცემელთა მსოფლიო ფორუმს. 2015 წლის ივლისში გავაკეთე ანგარიში „საგამომცემლო საქმიანობა საქართველოში“, რომელიც ასოციაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა და ასევე ბევრ სხვადასხვა ორგანიზაციას დაეგზავნა. მიმოხილვის თემა იყო დღეს არსებული სიტუაცია საგამომცემლო ბაზარზე, ხოლო ერთ-ერთი მთავარი საკითხი სახელმძღვანელოების პრობლემა გახლდათ, რასაც მსოფლიო გამომცემელთა მხრიდან ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ოქტომბერში ფრანკფურტის წიგნის ფესტივალზე შევხვდი ასოციაციის ხელმძღვანელს ხოსე ბორდინოს, სადაც აღნიშნულ ანგარიშზე ვიმსჯელეთ და იქვე დაიგეგმა სწორედ ჩვენი მონაწილეობა გამომცემელთა მსოფლიო ფორუმზე. იანვრის ბოლოს ვიყავით ჩასულები გერმანიის, ქალაქ კიოლნში, სადაც 20-წუთიანი მოხსენებით წარვსდექი, თუმცა, დისკუსიამ საკმაოდ დიდხანს გასტანა...

თამარ სანიკიძე

გიორგი მარგველაშვილი

ნინო ბუაჩიძე

— თქვენთან ერთად იმყოფებოდა გამომცემლობა „ინტელექტის“ ხელმძღვანელი?

— დიახ, ჩვენი დელეგაცია ოთხი მონაწილისაგან შედგებოდა: მე, ერთ-ერთი ყველაზე მეტად დაზარალებული გამომცემლობის დირექტორი, ბატონი კახმეგი და სასამართლოში გამომცემლების ინტერესების დამცველი იურისტები: გიორგი ბათლიძე და თამთა ივანიშვილი (იურიდიული ფირმა ბი-ელ-სის წარმომადგენლები), რომლებმაც დეტალურად ისაუბრეს იურიდიულ საკითხებზე და გაცილებით ნათელი გახადეს აღნიშნული საქმე.

— უცხოელ კოლეგებს თქვენი პრობლემები გაუკვირდათ, თუ მათთვის ნაცნობი იყო მსგავსი ვითარება?

კახმეგ კუდავა: — გაოცებას ვერ მალავდნენ. როცა გვანცა მოხსენებას კითხულობდა, ვაკვირდებოდი, თუ როგორ უფართოვდებოდათ თვალები. იყო უამრავი შეკითხვა, დებატები. ხმამაღლა ითქვა: თქვენ განათლების სამინისტროსთან კი არა, კრიმინალებთან გქონიათ ურთიერთობაო. ეს არის გადამდები ბაცილა პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვის, რომელიც ავტორიტარული რეჟიმის ხელისუფლებისთვის მომგებიანიაო.

შესვენებაზე, ფურშეტზე, არაფორმალურ შეხვედრებზე მოდიოდნენ და კიდევ ერთხელ გვამეორებინებდნენ უკვე გაგონილს, დეტალებს გვეკითხებოდნენ.

— გასაგებია მათი პოზიცია, მაგრამ შემდეგი ნაბიჯი რა იქნება?

გ. ჯ. — ჩვენ მაქსიმალურად შევძელით უცხოელი კოლეგების ინფორმირება. მათ დაგვავალდებულეს, რომ ყოველთვიურად მივაწოდოთ დეტალური ინფორმაცია საქმის განვითარებასთან დაკავშირებით. ამას გარდა, ფორუმზე წარმოდგენილი სახელმძღვანელოების გამომცემელთა 35-ვე ქვეყნის წარმომადგენელმა ერთხმად დაუჭირა მხარი, რომ ჩვენი პრობლემა ასოციაციის 2016 წლის პრიორიტეტულ თემებში შესულიყო... და რაც მთავარია, თუკი ჩვენ მოგვიწევს ამ საქმის სტრასბურგში გასაჩივრება, მსოფლიო ასოციაცია უპირობო დახმარებას და სოლიდარობას დაგვპირდა, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

— რატომ ფიქრობთ, რომ უზენაესი სასამართლო გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას... როგორია წინასწარი მიდგომა კანონდამცველთა მხრიდან?

კ. კ. — შორს ვართ ილუზიებისგან და ამიტომაც არ გვაქვს იმედი, რომ საქართველოში სამართლის მიღწევას შევძლებთ. ჩვენ უარყოფითი შედეგიც გვაკმაყოფილებს, რათა დროულად შევძლოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაჩივრება.

— როდის უნდა დაინიშნოს სასამართლო პროცესი?

— კარგა ხანია, გამომცემლობებმა მივიღეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ. განჩინებას ხელს აწერს მოსამართლე ლევან მურუსიძე. აგერ უკვე სამი წელია, ველოდებით საბოლოო განაჩენს. ვფიქრობთ, საქმე ხელოვნურად ჭიანურდება.

— ძალიან საინტერესოა, მოსამართლეებმა რის საფუძველზე არ დააკმაყოფილეს თქვენი საჩივარი. რას ეყრდნობოდა მათი გადაწყვეტილება?

— იცით, ვინ იყვნენ ჩვენი მოსამართლეები საქალაქო სასამართლოში? ნანა დარასელია და ნინო ბუაჩიძე. ისინი, ვინც საყდრისზე გამოიტანეს განაჩენი. პროცესებში ჩვენი ადვოკატები აშკარად იმარჯვებდნენ, მაგრამ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ნინო ქადაგიძემ გვითხრა, თქვენ რა გინდათ, განათლების სამინისტროს წიგნების ბეჭდვა ავუკრძალოთო?

— იქნებ მართალია მათი ლოგიკა?... საზოგადოებისთვის ის უფრო მთავარია, უფასოდ დარიგდეს სახელმძღვანელოები, ვიდრე საგამომცემლო ბიზნესზე ზრუნვა.

— ხაზგასმით ვამბობ, არც ერთი ავტორი და არც ერთი გამომცემელი არ არის წინააღმდეგი, რომ მოსწავლეებმა უფასოდ მიიღონ სახელმძღვანელოები. მაგრამ სახელმწიფომ კი არ უნდა წაგვართვას, ჩვენგან უნდა იყიდოს ჩვენივე საკუთრება... თქვენ რომ წიგნს დაწერთ, ეს ხომ თქვენი საკუთრებაა? შეიძლება ის ვინმემ წაგართვათ? ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, რატომ ურიგებენ განურჩევლად ყველას სახელმძღვანელოებს, რატომ არ უფრთხილდებიან სახელმწიფო ბიუჯეტს? თუ ბევრი ფული აქვთ, არ ჯობია, სოციალურად დაუცველ მოსწავლეებს, ჩვენგან ნაყიდ სახელმძღვანელოებთან ერთად სკოლისთვის საჭირო სხვა ნივთებიც შეუძინონ: სასკოლო ჩანთები, ტანსაცმელი... ხოლო გამომცემლებს კი ჩვენი საკუთრების განკარგვის უფლება მოგვცენ?!

გ. ჯ. — უცხოეთში სწორედ იმაზე წუხდნენ, რომ შეილახა ჩვენი ინტელექტუალური საკუთრების უფლება. მით უფრო, რომ ჩვენ ხელი მოვაწერეთ ევროპასთან ასოციირების ხელშეკრულებას, სადაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტია ინტელექტუალური საკუთრებისა და საავტორო უფლებების დაცვა.

— და მაინც, ბატონო კახმეგ, რა სამართლებრივ საფუძველს დაეყრდნო მოსამართლე, რომელმაც განათლების სამინისტროს გადაწყვეტილება მართებულად ცნო?

— ჯერ კიდევ დიმიტრი შაშკინის მინისტრობის დროს ხელშეკრულებაში, რომელიც გამომცემლებთან დაიდო, იყო ასეთი მუხლი: განსაკუთრებულ შემთხვევაში, საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, განათლების სამინისტრო იტოვებს უფლებას, დაბეჭდოს სახელმძღვანელოები. ეს მუხლი თავიდანვე გავაპროტესტეთ, ვჩიოდით, მაგრამ მინისტრთან პირისპირ შეხვედრაზე მან ასეთი ინტერპრეტაციით აგვიხსნა ეს პუნქტი: დავუშვათ, თქვენ აღმოჩნდით გაკოტრების პირას, ან გაკოტრებული, ან არ მიიჩნევთ მნიშვნელოვნად სახელმძღვანელოს დაბეჭდვას და შეიქმნა დეფიციტი, სწორედ ასეთ კრიზისულ ვითარებაში სამინისტრო იტოვებს წიგნის დაბეჭდვის უფლებას. დეფიციტი არ შექმნილა და შესაბამისად, ეს მუხლი არ ამოქმედებულა.

მოვიდა ახალი ხელისუფლება, განათლების ახალი მინისტრი გიორგი მარგველაშვილი, რომელმაც ავტორებთან და გამომცემლებთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე მიიღო უკანონო გადაწყვეტილება. პრეზიდენტის დღევანდელი მემკვიდრე, მინისტრი თამარ სანიკიძე ჯიუტად იმავე გზას ადგას.

— ინტელექტუალური საკუთრების სააგენტოს რა პოზიცია აქვს?

— სიტყვიერად გვითანაგრძნობენ, თუმცა, საქმე საქმეზე როცა მიდგა, უფრო სახელმწიფოს პოზიციისკენ იხრებიან. განა ეს არ არის ინტელექტუალური საკუთრების დაცინვა?!

— ანუ, როგორც ვხედავ, გამომცემლებსა და სახელმწიფოს შორის ძალიან დიდი ბზარი და უნდობლობაა?...

— ასეა, რადგან არც ერთ პირობას არ ასრულებენ! „უფასო სახელმძღვანელოების“ პროგრამამ კი მათ იმიჯზე კარგად იმუშავა. მარგველაშვილს მარტო ივანიშვილის ავტორიტეტი არ ეყოფოდა პრეზიდენტობისთვის. იგი პრეზიდენტი ვერ გახდებოდა, ეს სოციალური პროგრამა რომ არა. ამიტომ კიდევ ერთხელ თამამად გავიმეორებ: მარგველაშვილმა ამომრჩევლები ჩვენგან წართმეული სახელმძღვანელოებით მოისყიდა.

— რა უნდა დავარქვათ ამ ყველაფერს?

— თუ ჩვენს უცხოელ კოლეგებს დავესესხები, ეს არის მიზანმიმართული ქმედება ინტელექტუალური საკუთრების წინააღმდეგ, ბიზნესის შეგნებული ჩაძირვა, საკუთრების განკარგვის უფლების წართმევა. მაშინ როცა 15 ქართულ გამომცემლობას ერთი მილიონი დაბეჭდილი სახელმძღვანელო დასაწყობებული აქვს და სახელმწიფო კი ზუსტად იმავე სახელმძღვანელოებს ხელახლა ბეჭდავს, მითხარით, ამას რა ვუწოდო, განუკითხაობის გარდა...

ესაუბრა
თეა მოსია

ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲙᲐᲢᲣᲠᲐ

ⓘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲧᲐᲚᲑ ᲡᲐᲡᲐᲥᲝᲜᲚᲝ ᲖᲔᲓᲜᲐᲓᲔᲑᲔᲑᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, გატარებული ოპერატიულ - სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი სასაქონლო ზედნადებების დამზადება - გასაღების ფაქტზე, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა დანაშაულებრივი ჯგუფის ორი წევრი. ბრალდებულებმა ეტაპობრივად დაამზადეს და გაასაღეს 31 ერთეული ყალბი სასაქონლო ზედნადები, რომლის მიხედვით, თითქოსდა ერთ-ერთ მეწარმე სუბიექტს მიაწოდეს 140 300 ლარის ღირებულების სამშენებლო მასალა, რეალურად კი მსგავი რამ არ განხორციელებულა. დანაშაული ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით.

„ახლავე შეუტიე, დასტურია, აიღე ქალაქი!“

სამოქალაქო ომში გამარჯვებისა და სამხედრო ინტერვენციის მოგერიების შემდეგ საბჭოთა რუსეთმა ამიერკავკასიისთვის მოიცალა. ჯერ კიდევ 1920 წლის მარტში ვლადიმერ ლენინი წერდა სერგო ორჯონიკიძეს: „ბაქოს აღება ჩვენთვის უაღრესად, უაღრესად საჭიროა... იგივე ეხება საქართველოს. თუმცა, გირჩევთ მას კიდევ უფრო ფრთხილად მოეპყრათ“.

და მართლაც, იმავე წლის აპრილში ბოლშევიკებმა ბაქო აიღეს. სხვათაშორის, ეს გააკეთეს რუსეთის წითელ ჯარებად მონათლულმა მანამდე თურქეთში მებრძოლმა სომხურმა სამხედრო შენაერთებმა.

1920 წლის 2 მაისს ქართველმა ბოლშევიკებმა სცადეს აჯანყების მოწყობა თბილისში. ისინი თავს დაესხნენ იუნკერთა სასწავლებელს, რუსეთის წითელი არმიის ნაწილები კი აზერბაიჯანიდან საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრნენ. 3 მაისს ორჯონიკიძე ატყობინებდა ლენინს და სტალინს, რომ უკვე 15 მაისისთვის თბილისის დაკავებას შეძლებდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ბოლშევიკური ამბოხის ჩახშობა ადვილად მოახერხა. ქართულმა სამხედრო შენაერთებმა სერიოზული დარტყმა აგემეს ჩვენს საზღვრებში შემოჭრილ წითელ ჯარსაც. მოსკოვში კი ორჯონიკიძის გეგმა ნაადრევად მიიჩნიეს და 4 მაისს მას საქართველოდან ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა მოსთხოვეს. სტალინმა ტელეფონით საუბრისას განუმარტა ორჯონიკიძეს, რომ „ცკ-ს ეს მოთხოვნა ნაკარნახევია ახლანდელი საერთაშორისო ვითარებით“.

საქმე ის იყო, რომ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი კერზონი რუსეთისგან დაჟინებით მოითხოვდა საომარი მოქმედებების შეწყვეტას. ამას გარდა, საბჭოთა რუსეთს მოსაგერიებელი ჰქონდა გენერალ ვრანგელის შეტევა. დასამთავრებელი იყო სამხედრო მოქმედებები პოლონეთის ფრონტზეც.

ასეთ ვითარებაში საქართველოს მთავრობამ საბჭოთა რუსეთს ხელშეკრულების გაფორმება შესთავაზა. კრემლმა შეთავაზება მიიღო. 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად რუსეთმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და მისი საზღვრები. თავის მხრივ, საქართველომ იკისრა ვალდებულება მოეხდინა ბოლშევიკური პარტიის ლეგალიზაცია და გაეყვანა თავისი ტერიტორიიდან უცხო ქვეყნის ჯარები.

იმავე დღეს ორჯონიკიძემ და კიროვმა უპატაკეს მოსკოვს, რომ საქართველოდან ჯარებს გაიყვანდნენ. თუმცა, ბრძოლები 16 მაისამდე მაინც გაგრძელდა.

1921 წლის იანვარში რუსეთის წარმომადგენელმა აუდიენცია სთხოვა ნოე ჟორდანიას. „რუსეთი აპირებს საქართველოზე თავდასხმას. რა შეგიძლიათ შესთავაზოთ რუსეთს, ამ განზრახვაზე ხელის აღების სანაცვლოდ?“ — ჰკითხა საიდუმლო შეხვედრაზე რუსეთის წარმომადგენელმა ჟორდანიას. „საზოგადოდ გვითხრან რა უნდათ ჩვენგან, რა მიზეზით ემზადებიან ჩვენს წინააღმდეგ, ეგების მოვეწყობით, შევთანხმდებით უეჭველათ ყველა საკითხზე, გარდა ერთისა — ერის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის შეკვეცისა. მან ვერაფერი კონკრეტული ვერ წამოაყენა. ვამჯობინე დაშინება და ვუთხარი — კავკასიის ხალხები ... უკმაყოფილო არის მოსკოვის რეჟიმით. თუ ამდენ ხანს არ ამდგარან, ამის მიზეზი ვართ ჩვენ — მათ არ ვუჭერთ მხარს ... მაგრამ ეს განწყობა შეიცვლება მაშინვე, როგორც კი ჩვენ თავს დაგვესხმებით. აჯანყებებს გავაჩაღებთ ყველგან, თქვენს ზურგს უკან. ამ საბუთმა მასზე იმოქმედა. მხოლოდ მაშინ გავიგე, რომ ყოფილა დავალებული მოსკოვიდან, ვინაიდან თქვა — ეს მართლა სერიოზულია, მოსკოვს ვაცნობებო,“ — წერდა ჟორდანია თავის „მოგონებებში“.

სრული ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ რუსეთთან საქართველოც ორპირობდა და თვალი მაინც დასავლეთისკენ ეჭირა. ამას ყველა ხედავდა.

კაცმა რომ თქვას, რუსეთს დიდი არჩევანი არც ჰქონდა. ქართველი ხალხი ერთსულოვნად უჭერდა მხარს ეროვნულ მთავრობას. საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ ხელისუფლებას სასოებით შესცქეროდა ევროპის სოციალ-დემოკრატია, რომელიც მასში თავისი იდეების რეალურ ხორცშესხმას ხედავდა. ინგლისის მუშათა პარტიის ბელადი რამზეი მაკდონალდი ამბობდა: „... თუ რომელიმე ერს თავისუფლება ეკუთვნის, ესაა ქართველი ერი, რომელმაც დაუმტკიცა მთელ კაცობრიობას თავისი მაღალი კულტუროსნება და პოლიტიკური სიმწიფე. მე გავეცანი მის კონსტიტუციას, მის სოციალურ და ეკონომიკურ აღმშენებლობას. მე იქ რაც ვნახე, ვისურვებდი, ასე მოწყობილი მენახოს ცხოვრება ჩემს ქვეყანაში“. ბელგიელი სოციალისტი ემილ ვანდერველდე: „ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ჩამოაყალიბეს დამოუკიდებელი საქართველოს ნაციონალურ ფარგლებში ჭეშმარიტი დემოკრატიული იდეები.“ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის აღიარებული ლიდერი კარლ კაუცკი: „რევოლუციამ საქართველოს მოუტანა პროვინციებისა და სოფლების სრული თვითმმართველობა“.

ცხადია, საქართველოში მრავლად იყო პრობლემებიც, მაგრამ ჩვენი ეკონომიკა რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის ეკონომიკებზე უფრო მდგრადი, ჩვენი ვალუტის კურსი ამ ქვეყნების ვალუტების კურსზე უფრო მტკიცე, ხოლო ცხოვრების დონე უფრო მაღალი იყო.

ასეთ ვითარებაში ბოლშევიკებს საქართველოს სხვა რეგიონებში აჯანყების წამოწყების შანსი არ ჰქონდათ.

საქართველოში მტერი 6 მიმართულებიდან შემოიჭრა. ყველაზე ახლოს თბილისთან მე-11 არმიის ნაწილები მოვიდნენ. ნოე ჟორდანიამ პირველსავე დღეს გაათავისუფლა გენერალი ილია ოდიშელიძე სამხედრო მინისტრის თანამდებობიდან. ამ თანამდებობაზე დაინიშნა გენერალი გიორგი კვინიტაძე, იმ დროის ერთ-ერთი საუკეთესო გენერალი. კვინიტაძემ სოღანლუღის ფრონტზე ქართულ ჯარებს გენერალი გიორგი მაზნიაშვილი უსარდლა, ტაბახმელასთან და კოჯორთან გენერალი ანდრონიკაშვილი და სახალხო გვარდიის ნაწილები დადგნენ. 18 და 19 თებერვალს ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე წარმატებით მოიგერიეს მტრის იერიშები. მაზნიაშვილი შეტევაზეც გადავიდა და 1500 ტყვეც იგდო ხელთ. 23 თებერვალს იუნკრებმა სასტიკი ბრძოლა გაუმართეს მტერს კოჯორთან და უკუაგდეს ის...

სამხედრო შტაბში მისულ ნოე ჟორდანიას საოცარი საბრძოლო სულისკვეთება დახვდა. ჯარისკაცები შეტევაზე გადასვლას ელოდნენ... აი, სწორედ ასეთ დროს გენერალმა კვინიტაძემ უკანდახევის და თბილისის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო.

კვინიტაძის განცხადებამ ყველა დაზაფრა. აღშფოთებულმა გენერალმა ოდიშელიძემ განაცხადა, რომ მაშინ, როცა ჩვენს ჯარს ბრძოლა არ წაუგია, უკანდახევა და დედაქალაქის დატოვება უგუნურებაა. ჩვენ შეტევაზე უნდა გადავიდეთ. და თუ დამარცხება გვიწერია, სჯობს აქ, თბილისის მისასვლელებთან მოვკვდეთო.

ჟორდანიამ ჰკითხა ოდიშელიძეს: შეუძლია თუ არა მთავარსარდალს ერთპიროვნულად მიიღოს ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. ოდიშელიძემ უპასუხა, რომ მთავარსარდლის გადაწყვეტილებაში ვერავინ ჩაერევა.

თბილისში დაბრუნებულ ჟორდანიას ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ვეშაპელმა ჰკითხა: მართალია თუ არა, რომ თბილისის ჩაბარებას ვაპირებთო. „ასეთია მთავარსარდლის გადაწყვეტილება, — უპასუხა ჟორდანიამ, — და თუ არ ეთანხმებით, მაშინ მითხარით და მთავარსარდლად თქვენ დაგნიშნავთო“.

24 თებერვლის ღამით ქართულმა ჯარმა თბილისი დატოვა. თუმცა, მცხეთაში გამაგრება, ჯარში არსებული პანიკისა და ქაოსის გამო ვერ მოხერხდა. კვინიტაძემ სურამის უღელტეხილთან სცადა თავდაცვის ზღუდის შექმნა, მაგრამ არც აქედან გამოვიდა რამე. ბათუმი კი ამ დროს თურქმა ასკერებმა დაიკავეს. თურქებთან დადებული ხელშეკრულების გამო ბოლშევიკებს მათთან ომი არ შეეძლოთ. ამიტომ მათ საქართველოს მთავრობას მიმართეს. ბოლშევიკი სერგი ქავთარაძე შეხვდა ევროპაში გასამგზავრებლად უკვე გემზე მყოფ ჟორდანიას და ბათუმიდან თურქთა გაძევება სთხოვა. ჟორდანიამ გადაწყვიტა გენერალ მაზნიაშვილისთვის (რომელიც, მისი ვარაუდით, სადღაც ბათუმთან ახლოს უნდა ყოფილიყო) მიეწერა წერილი. ამ დროს იქვე მყოფმა სამხედრო მინისტრმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ განაცხადა: მე კარგად ვიცნობ გენერალ მაზნიაშვილს. ის წერილით არაფერს გააკეთებს. სჯობს პირადად ვნახო და დავითანხმოო. ამ სიტყვების შემდეგ ლორთქიფანიძემ ხელში აიყვანა თავისი მცირეწლოვანი ბავშვები და მეუღლესთან და შვილებთან ერთად გემიდან ჩამოვიდა.

გენერალმა გრიგოლ ლორთქიფანიძეს ცივი უარი სტკიცა: „ვისთვის ვიბრძოლო — ბოლშევიკებისთვისო!?“ „ბოლშევიკებისთვის არა — ქართული მიწისთვისო“, — უპასუხა ლორთქიფანიძემ. ამ არგუმენტმა გაჭრა. წამიერი ჩაფიქრების შემდეგ მაზნიაშვილი ეტლში ჩაჯდა და ჩოლოქთან გზაჯვარედინზე გავიდა. იქ ფრონტიდან სახლში მიმავალი ჯარისკაცები შეაგროვა, რაზმი შეკრა და თურქებზე გაილაშქრა. ორ დღეში ბათუმი და მისი შემოგარენი თურქებისგან სრულად გაიწმინდა!

იხ. 8 გვ.

უცნობი ლექსი

„საქართველო გაიჟღინთა მაყაშვილთა გოდებით“

ახლახან ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა მარო მაყაშვილს, რომელიც 1921 წლის თებერვალში 19 წლის ასაკში დაიღუპა წითლებთან შეტაკებისას კოჯრის მიდამოებში. როგორც ცნობილია, შვილის ტრაგიკულად დაღუპვას შემაძრწუნებელი ლექსი მიუძღვნა თავზარდაცემულმა ქართველმა პოეტმა კოტე მაყაშვილმა. კოტე მაყაშვილის ლექსს 1922 წელს, (ლიტერატურული გაზეთი №1) გამოეხმაურა უცნობი ახალგაზრდა პოეტი ზალიკა ონიანი, რომლის პუბლიკაციასაც ჩვენი გაზეთი გთავაზობთ.

გამოძახილი

არც სიცოცხლის, არც სიკვდილის აღარა მაქვს ხალისი,
თებერვალმა დამიზამთრა სამუდამოდ მაისი

კოტე მაყაშვილი

**გულმოკლული მამა გლოვობს
შვილს, დაღუპულს კოჯრის გზაზე,
ურჩხულებთან მებრძოლ ქალწულს
შეაცივდა მზერა თვალზე.
სიცოცხლის თუ სიკვდილისა
ეთხოვება მამა ხალისს,
თებერვალმა დაუზამთრა
ელვარე მზის ფერი მაისს.
შვილისა და ქვეყნის ხვედრმა
მამა მწარედ დააგლოვა.
მწუხარება, სევდა, ცრემლი
გულმა ერთად დააგროვა.
ვინ ჩასწვდება მამის ვარამს,
ვინ უამებს დარდს და ნაღველს,
დღეს თეთრად ვინ გაუთენებს
შავი დღის და ჭირის მნახველს.
იქით შვილის დარდი კლავს და
აქეთ ქვეყნის ჭირ-ვარამი,
ნაღველი რომ გაუქარვოს,
ეგულება მას არავინ.
ნამაისარ ქვეყანაში
თებერვალში ჩამოზამრთდა,
იუნკერთა გულში ცეცხლი
სულ ამაოდ ამოზავთდა.
სისხლითა და მწუხარებით
გაიჟღინთა მთა და მდელო
და გოდებას მაყაშვილთა
იზიარებს საქართველო.**

ზალიკა ონიანის ეს უცნობი ლექსი შეტანილი მაქვს შარშანდელ გამოცემულ ჩემს რომანში („სისხლიანი 1924“).

რევაზ ჩხარტიშვილი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

„ახლავე შეუტიე, დასტურია, აიღე ქალაქი!“

(მეშვიდე გვერდიდან)

17-18 მარტს საქართველოს მთავრობასა და ბოლშევიკებს შორის ქუთაისში მოლაპარაკება შედგა. საქართველოს მთავრობას გრიგოლ ლორთქიფანიძე წარმოადგენდა. ბოლშევიკებმა ჟორდანიას და მის მთავრობას საქართველოში დარჩენა და თანამშრომლობა შესთავაზეს, მაგრამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით ლორთქიფანიძემ ამ შეთავაზებაზე უარი განაცხადა და არც მთავრობის უფლებამოსილების ნებაყოფლობით მოხსნისა და დამფუძნებელი კრების დათხოვნის წინადადებას დათანხმდა, რითაც შემდგომ თაობებს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სამართლებრივი საფუძველი შეგვინარჩუნა.

როგორ უნდა შევაფასოთ 1921 წლის თებერვალ-მარტის მოვლენები?

იოსებ სტალინი მას „სამხედრო ჩარევას და საქართველოს ოკუპაციას“ უწოდებს. ტროცკის აზრით, ეს იყო „სამხედრო ინტერვენცია და საქართველოს ნაადრევი გასაბჭოება“, ორჯონიკიძე აღიარებდა, რომ წითელი ჯარების წინააღმდეგ აღდგა საქართველოს „თითქმის მთელი მოსახლეობა.“ ბესო ლომინაძის თქმით, რუსეთმა „საქართველო წითელი არმიის ხიშტებით დაიპყრო“. ფილიპე მახარაძე წერდა, რომ „საქართველოს საზღვრებში წითელი არმიის შესვლამ და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ გარედან დაპყრობის ხასიათი მიიღო, რადგან ამ ქვეყანაში ამ დროს აჯანყების დაწყება არც უფიქრია ვინმეს“...

სრულიად ნათელია, რომ თვით ბოლშევიკებმა ზუსტად შეაფასეს თავიანთი ნამოქმედარი: ინტერვენციის გზით საქართველოს ოკუპაცია, ძალდატანებითი გასაბჭოება და მისი ფაქტობრივი ანექსია.

საქართველოს ოკუპაცია დაგმო ევროპამ. მეორე ინტერნაციონალის ლიდერებმა საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანა და რეფერენდუმის ჩატარება მოითხოვეს. ლენინის პასუხი: „ჩვენ უნდა მოვძებნოთ რომელიმე გესლიანი ჟურნალისტი, რომელიც განუმარტავს ამ ვაჟბატონებს, რომ ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ შევასრულოთ მათი მოთხოვნა, ერთი პირობით: თუ ინგლისიც გაიყვანს თავის ჯარებს ინდოეთიდან და შემდეგ ამ ქვეყანაში რეფერენდუმს ჩაატარებს; თუ საფრანგეთი იმავეს გააკეთებს ალჟირში, ამერიკა – მთელ ლათინურ ამერიკაში და ა. შ.“

ამით ლენინმა აღიარა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ინგლის-ინდოეთის, საფრანგეთ-ალჟირის, იაპონია-კორეის ურთიერთობების იდენტური იყო. მაშინ ლენინს ამის თქმა შეეძლო. მსოფლიოში იმ დროს არაერთი კოლონია და მეტროპოლია არსებობდა. დღევანდელ რუსეთს ეს გაუჭირდება, რადგან ცივილიზებულმა მსოფლიომ განვითარების ეს ფაზა უკვე განვლო. რუსეთი კი კვლავაც ბოლშევიკურ წარსულში ჩარჩა. როგორც ჩანს, აქ შეგონებანი არ ჭრის. ეს სახადი ყველამ თავისით უნდა მოიხადოს... რუსეთი ახლა ლამის მთელ კაცობრიობას უპირისპირდება. ეს კი იმის უტყუარი წინაპირობაა, რომ მისი ველიკოდერჟავული წარსული სერიოზული გამოცდის წინაშეა.

უჩა გლუაშვილი

კადეტთა ლიცეუმში ლეგენდარული გენერალი გიორგი კვინიტაძე გაიხსენეს

„ბრ არის ტყვია, რომელიც მე მომკლავს, რადგან ჩემი ფესვები იმ ქვეყანაშია, რომელსაც ჰკლავდნენ და არ კვდებოდა“, – ამ სიტყვებით გაიხსნა „ცოდნის კვირეულის“ ფარგლებში გამართული გენერალ გიორგი კვინიტაძისა და მისი ეპოქის ამსახველი ფოტოგამოფენა კადეტთა სამხედრო ლიცეუმში. სამხედრო სასწავლებელში გენერალ კვინიტაძის რესტავრირებული სამხედრო მუნდირი, ხელნაწერები, ჯილდოები და პირადი ნივთებიც გამოიფინა.

სამხედრო სასწავლებლის მსმენელებს გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე მიესალმა და კადეტთა სამხედრო ლიცეუმისთვის გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელის მინიჭებაზე გაამახვილა ყურადღება. თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანა დოლიძე კი ახალგაზრდებს „ცოდნის კვირეულის“ მნიშვნელობაზე ესაუბრა და აღნიშნა:

„თავდაცვის სამინისტროში გრძელდება „ცოდნის კვირეული.“ კვირეულის არსია იმის აღიარება, რომ ცოდნა არის მთავარი ფასეულობა, რითაც სამხედრო მოსამსახურე აღწევს პირად და კარიერულ წარმატებას. ამით ჩვენი უწყებაც და ჩვენი სახელმწიფოც გამარჯვებას მიაღწევენ“.

მოგვიანებით თავდაცვის უწყება ხელმძღვანელმა პირებმა კადეტებთან ერთად ლიცეუმის საკონფერენციო დარბაზში გადაინაცვლეს. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა გოჩა საითიძემ მათ საჯარო ლექცია „გენერალი გიორგი კვინიტაძე“ წაუკითხა.

გუშინვე კადეტთა რჩეული ლექსების კრებულის პრეზენტაციაც გაიმართა. ღონისძიება კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მსმენელების მიერ გენერალ გიორგი კვინიტაძის შესახებ თეატრალური წარმოდგენით დასრულდა.

ვეტერანებს ჯანდაცვის მომსახურება 100%-ით დაუფინანსდებათ!

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის გია ვოლსკის განცხადებით, სანამ ვეტერანებს ახალი ჰოსპიტალი ექნებათ, ერთ-ერთ კლინიკაში გაივლიან მომსახურებას, რომელიც თანამედროვე აღჭურვილობის მეშვეობით მათ მაღალკვალიფიციურ მომსახურებას გაუწევენ.

მისი თქმით, მართებული იყო ის გადაწყვეტილება, რომ ჰოსპიტალმა, როგორც ჯანდაცვის დაწესებულებამ, ლიცენზია ვერ მიიღო.

„სახელმწიფო ვეტერანთა ჰოსპიტალის შენობაზე და იქ მომსახურებაში დაახლოებით 800 ათასი ლარს ხარჯავდა, საიდანაც მხოლოდ 14% მიდიოდა ჯანდაცვაზე, დანარჩენი იყო საკმაოდ მწირი სახელფასო თანხები და უშველებელი კომუნალური ხარჯები. შენობას ათბობდნენ დენით. ვფიქრობ, მართებული გადაწყვეტილება იქნა მიღებული, ამ დაწესებულებას, როგორც ჯანდაცვის დაწესებულებას, ლიცენზია არ ჰქონოდა. იქ ჯანდაცვის მხრივ რთული მომსახურება იყო. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო სამსახურმა გააფორმა დროებითი ხელშეკრულება ერთ-ერთ კლინიკასთან, სანამ ვეტერანებს ცალკე შენობა ექნება. ამ თანამედროვე აპარატურით აღჭურვილ კლინიკაში ვეტერანები სრულფასოვან მომსახურებას მიიღებენ“, – აღნიშნა ვოლსკიმ, მისივე თქმით, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჯანდაცვის მინისტრო მომსახურების დიდ პროცენტს დაფარავს.

„მომსახურების დარჩენილ პროცენტებს კი სახელმწიფო დაფარავს. ვეტერანებს ჯანდაცვის მომსახურება 100%-ით დაუფინანსდებათ“, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

საგარეო საქმეთა მინისტრი ზალკალიანი იქნება...

საქართველოს მმართველი კოალიციის „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა სამთავრობო ცვლილებების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. სამთავრობო ცვლილებები მარტში განხორციელდება.

ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს, ამჟამად მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი დაიკავებს. საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე კი ეკონომიკის სამინისტროს ჩაიბარებს. ცნობილია, ასევე ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის შემცვლელი. კულუარული ინფორმაციით, ფინანსთა მინისტრის პორტფელს ვიცე-პრემიერს, ეკონომიკის მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილს ანდობენ.

ჯერჯერობით საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი ცვლილებები შს სამინისტროში. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი ანზორ ჩუბინიძე ამ დრომდე თავს იკავებს მინისტრის პოსტის დაკავებისგან. თუმცა, ეს საკითხი ორიოდე თვის წინათ, უკვე გადაწყვეტილად მიიჩნია თავად ბიძინა ივანიშვილმა.

„ჯი-ეიჩ-ენის“ ინფორმაციით, სამთავრობო ცვლილებებისა და ეროვნული ბანკის ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ, ივანიშვილის მითითებით, რამდენიმე პუნქტით უნდა გამყარდეს ლარის კურსი. სავარაუდო ნიშნულად, 1 აშშ დოლარი 2,25 ლარი განისაზღვრა. აღნიშნულის შედეგად მმართველი კოალიცია „ქადაგიძის ფაქტორზე“ დაიწყებს ყურადღების გამახვილებას.

შეგახსენებთ, რომ პრემიერ-მინისტრად გიორგი კვირიკაშვილის დანიშვნისას, მას მთავრობის შემადგენლობაში ცვლილებები არ განუხორციელებია, თუმცა გააკეთა განცხადება, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ არ გამორიცხავდა მთავრობაში ცალკეულ ცვლილებებს.

ნუ ამტვრევთ ღია კარს!

საქართველოს ვიცე-პრემიერის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, მოსახლეობისა და კერძო სექტორის მხარდაჭერისთვის საქართველოს მთავრობაში პრაქტიკულად შემუშავებულია სპეციალური ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც დაეხმარება მოქალაქეებს კერძო სექტორში მიწების რეგისტრაციაში.

„შემუშავებული გვაქვს სპეციალური დაფინანსების ინსტრუმენტი, რომელსაც უახლოეს მომავალში წარვუდგენთ მოსახლეობას. ჩვენს გლეხებს მისცემს შესაძლებლობას, კვალიფიციური ამზომველის მიერ აზომილი ნაკვეთი წარადგინონ საჯარო რეესტრში, ხოლო სახელმწიფო აზომვით სამუშაოებს დააფინანსებს.

პოლიტიკურ ოპონენტებს მინდა ვუთხრა, რომ ტყუილად ამტვრევენ ღია კარს და პოლიტიკური სპეკულაციები ამ მიმართულებით საჭირო არ არის. ჩვენ ვართ სწორედ ის მთავრობა, რომელიც იცავს კერძო სექტორს და მონდომებულია, რომ კერძო სექტორში იყოს, რაც შეიძლება მეტი მიწის ნაკვეთი საკუთრებაში“, – აღნიშნა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

ბათუმში ევროპის კულტურის პარლამენტის გენერალური მდივანი იმყოფებოდა

ლისაბონის, ლივერპულის, ათენის, ბერლინის, ედინბურგისა და სხვა დიდი ქალაქების შემდეგ შესაძლოა, ევროპის კულტურის პარლამენტის გასვლით სხდომას ბათუმმაც უმასპინძლოს. საკითხის განსახილველად აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე და განათლების კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ნათია სირაბიძე გუშინ ევროპის კულტურის პარლამენტის გენერალურ მდივანს კარლ ერიკ ნორმანს შეხვდა.

შეხვედრაზე ევროპის კულტურის პარლამენტის გასვლითი სხდომის ბათუმში შესაძლო ჩატარების შესახებ დეტალები განიხილეს.

„დელეგატებისთვის რეგიონის კულტურის გაცნობა ხელსაყრელია ბათუმის პოპულარიზაციისთვის და სამომავლოდ ღონისძიებების აქ გადმოტანისთვის. ეს იქნება შანსი კულტურის საშუალებით ევროპასთან დაახლოების. პარლამენტის სხდომების თემატიკა მრავალფეროვანია და სესიები მოიცავს პრეზენტაციებს, დისკუსიებს, ვორკშოფებს, კითხვა-პასუხის რეჟიმს. სამუშაო თემები გამომდინარეობს და ეხება მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვან კულტურულ მოვლენებს, ცვლილებებს, თავისებურებებს, კულტურების თვითმყოფადობის შენარჩუნების საკითხებს“.

ევროპის კულტურის პარლამენტში გაერთიანებულია 160 წევრი ევროპის 43 ქვეყნიდან. ორგანიზაციის მთავარ მიზანს წარმოადგენს აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნების დაკავშირება კულტურის სფეროში, იდეებისა და ინიციატივების ხელშეწყობა, დამოუკიდებელი ხელოვანებისა და კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების წახალისება.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს პავლე შანიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** პავლე შანიძე (პ/ნ 37001037183), სამტრედია, კ. კალაძის ქ. №23 (ყოფილი სამტრედია, საბჭოს ქ. №23).

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: სამტრედია, კ. კალაძის ქ. №23 (საკადასტრო კოდი: 34.08.49.113).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავ ნივთზე რეგისტრირებულია იჯარის და ქირავნობის უფლებები.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 179 30.99 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2016 წლის 4 მარტი, 11:00 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალეები:** სამსონ შანიძე (პ/ნ 37001010639), სამტრედია, კ. კალაძის ქ. №23;
პავლე შანიძე (პ/ნ 37001037183), სამტრედია, კ. კალაძის ქ. №23 (ყოფილი სამტრედია, საბჭოს ქ. №23).

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართები:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 4 მარტის 11:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს კახაბერ ხიზანეიშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** კახაბერ ხიზანეიშვილი (პ/ნ 53001005565), თბილისი, ვარკეთილი-3, 3ა მ/რ, დვალიშვილის ქ., კორპუსი 344ა, ბინა №20.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: თბილისი, ვარკეთილი-3, 3ა მ/რ, დვალიშვილის ქ., კორპუსი 344ა, ბინა №20 (საკადასტრო კოდი: 01.19.39.010.014.01.020).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავ ნივთზე რეგისტრირებულია იჯარის და ქირავნობის უფლებები.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 21185.14 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2016 წლის 4 მარტი, 11:30 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალე:** კახაბერ ხიზანეიშვილი (პ/ნ 53001005565), თბილისი, ვარკეთილი-3, 3ა მ/რ, დვალიშვილის ქ., კორპუსი 344ა, ბინა №20.

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართები:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 4 მარტის 11:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ნუგზარ ხალვაშის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნუგზარ ხალვაში (პირადი №61005001236), მის: ქობულეთი, სოფელი ხალა;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ქობულეთი, დაბა ჩაქვი, აღმაშენებლის №8, სართული I (საკადასტრო კოდი: 20.18.02.089.01.501).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 9124.50 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 24 თებერვალი, 12:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 4 მარტი, 12:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP27811416;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 278114

6. **მოვალე:** ნუგზარ ხალვაში (პირადი №61005001236), მის: ქობულეთი, სოფელი ხალა.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP27811416; ლოტის ნომერი: 278114).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 4 მარტის, 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

დედამიწის ზურგზე

ჩრდილოეთ კორეაში პატივი მიაგეს საბჭოთა ჯარისკაცების ხსოვნას, რომლებმაც კორეელები იაპონელი მილიტარისტებისაგან გაანთავისუფლეს

სამშაბათს, 23 თებერვალს ჩრდილოეთ კორეაში გაიმართა საზეიმო სხდომები, რომლებიც მიეძღვნა საბჭოთა ჯარისკაცებს – გამათავისუფლებლებს. ქვეყნის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, გენერალ-პოლკოვნიკმა ნო გვან ჩხოლმა მიულოცა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ჯარისკაცებსა და ოფიცრებს და მთელ რუს ხალხს სამშობლოს დაცვის დღე. ასევე გაიმართა საზეიმო ცერემონია მონუმენტთან „გათავისუფლება“.

ასადმა სირიაში პარლამენტის არჩევნები 13 აპრილისთვის დანიშნა

სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა დანიშნა ქვეყანაში პარლამენტის არჩევნების თარიღი: იგი გაიმართება 13 აპრილს, ოთხშაბათს. რესპუბლიკაში წინა არჩევნები გაიმართა თითქმის 4 წლის წინათ – 2012 წლის მაისში.

სლოვენია ჩართავს არმიას მიგრანტების შემოტევებთან ბრძოლისათვის

სლოვენიის პრემიერ-მინისტრმა მირო ცერარმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საკითხი არ შეეხება სამხედრო ძალების გამოყენებას: ჯარისკაცები მხოლოდ დაეხმარებიან პოლიციელებს კონტროლქვეშ იქონიონ სიტუაცია საზღვარზე. ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინათ ეს წინადადება გადააწყდა დაპირისპირებას პარლამენტში, მაგრამ ამჟამად იგი თითქმის ერთსულოვნად გავიდა.

„ვიკილიკსმა“ ისაუბრა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ თვალყურის დევნებაზე მსოფლიო ლიდერების მიმართ, თავიანთი ნავთობის კომპანიების ინტერესებისათვის

ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების სააგენტო უსმენდა მსოფლიო ლიდერებს, რათა მიეღო ინფორმაცია, რომელიც შეიძლებოდა გამოგეყენებინა საკუთარი ინტერესებისათვის, გამოარკვია „ვიკილიკსმა“. ამერიკული დაზვერვის მიზნებს შორის იყო გაეროს გენერალური მდივანი პან გი მუნიც.

ჩრდილოეთმა კორეამ გაუსწრო რუსეთს რეიტინგში „ამერიკის მთავარი მტრები“

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პროვოკაციულმა მოქმედებებმა გავლენა იქონიეს მის პოზიციებზე ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი მტრების რეიტინგში, რომელიც შეადგინა Callp Media -მა. ამერიკელთა თვალში სწორედ ჩრდილოეთი კორეაა მთავარი საფრთხე.

სენატორმა ტედ კრუზმა თავისი შტაბის უფროსი გაათავისუფლა ცილისწამებისათვის ოპონენტზე წინასაარჩევნო რბოლაში

რესპუბლიკის თანამებრძოლმა ტედ კრუზიმ გამოაქვეყნა ვიდეო, რომელზეც პრეზიდენტის პოსტზე მეორე კანდიდატი მარკო რუბიო თითქოს სადავოდ ხდის ბიბლიის ღირებულებას. კრუზის შტაბში ვიდეო გაუგებრობად მიიჩნიეს, მისი ავტორი კი უკვე გაათავისუფლეს. მომხდარი ამბებისათვის არ შეეძლო, კომენტარები არ გაეკეთებინა მილიარდერ დონალდ ტრამპს.

◎ როცა ვნებები ჩაცხრა

როგორც ცნობილია, ფეხბურთის ფედერაციის ახალმა ხელმძღვანელობამ სამსჯავროზე საქართველოში სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობის განვითარების დიდი ხნის ნანატრი პროგრამა გამოიტანა, რომელსაც ზოგი უკვე რევოლუციურად აფასებს. ჯერჯერობით განსაკუთრებული აქცენტი ეროვნული ჩემპიონატის მონაწილეთა რაოდენობის 10 გუნდამდე შემცირებასა და მისი გაზაფხულ-შემოდგომის პრინციპით გამართვაზე კეთდება, თუმცა, განხილვის დროს, დარწმუნებული ვართ, კიდევ არაერთ მნიშვნელოვან ნიუანსზე გამახვილდება ყურადღება.

რაც შეეხება ქვემოთ შემოთავაზებულ წერილს, იგი შეიძლება მკითხველთა ნაწილს დაგვიანებულიც მოეჩვენოს, მაგრამ თემის აქტუალობის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, გამოქვეყნებას მაინც იმსახურებს, მით უმეტეს მაშინ, როცა ემოციები ჩაცხრა და ვნებათაღელვა მალე უშუალოდ მინდორზე გადაინაცვლებს — ეროვნული ნაკრების ჯერაც ინკოგნიტო ახალი თავკაცის სადებიუტო ამხანაგური შეხვედრა ხომ მარტის ბოლოსაა დანიშნული.

როგორ ხსნიდნენ კახი ცხადაძეს?

რაღაც უცნაური და, გულახდილად რომ ვთქვათ, ძნელადგასაგები ისტორიაა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა განაცხადა იმის შესახებ, რომ გადაყენებას უპირებს ნაკრების მთავარ მწვრთნელს კახა ცხადაძეს. გადადგომის ოფიციალური მიზეზი ასე გამოიყურება: კობიაშვილს მიაჩნია, რომ მთავარი მწვრთნელის მომსახურების ანაზღაურება არ არის ორიენტირებული მისი მუშაობის მაღალ შედეგზე, ამიტომ — უსამართლობაა და, მაშასადამე, უნდა იქნეს გადასინჯული.

აი იგივე ისტორია, ოღონდ გახმაურებული უფრო დაწვრილებით. როგორც ცნობილია, საქართველოს ნაკრები ფეხბურთში მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მოხვდა ერთ ჯგუფში უელსის, ავსტრიის, ირლანდიის, სერბეთისა და მოლდოვის გუნდებთან ერთად. ეს გუნდები ძლიერები არიან, ეს რა სალაპარაკოა, მაგრამ არც ერთი მათგანი არ შედის მსოფლიო ფეხბურთის გრანდების რიცხვში. მაშასადამე, საქართველოს ნაკრებს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში რაღაც შანსები აქვს. მაგალითად, სპეციალისტების აზრით, საქართველოს ნაკრებისთვის ამოცანა-მინიმუმი შეიძლება გამხდარიყო მესამე ადგილი შესარჩევ ჯგუფში. მაგრამ ნაკრების მთავარი მწვრთნელის ხელფასი — ეს კი 120 ათასი ლარია თვეში (მოდით, მკითხველს ნუ გაიკვირვებს თანხები: ასეთია დღეს მწვრთნელების განაკვეთი ფეხბურთის სამყაროში — ვ.ა.) — არანაირად არაა დაკავშირებული გუნდის გამოსვლის საბოლოო შედეგთან. დაიკავებს იგი მაღალ ადგილს შესარჩევ ტურნირში თუ სატურნირო ცხრილის ბოლოში იქნება — მწვრთნელის ხელფასზე არაფრით არ აისახება. როგორ შევხედოთ ასეთ სიტუაციას? როგორ შევაფასოთ იგი? პასუხი ერთმნიშვნელოვანია: სურათი მართლაც არანორმალურია. და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა, როგორც უკვე ითქვა, დააყენა საკითხი პირდაპირ: მწვრთნელის ანაზღაურების სისტემა უნდა შეიცვალოს. მაგრამ როგორ უნდა გააკეთო ეს, თუ კახა ცხადაძესთან კონტრაქტი უკვე დადებულია, იგი მოქმედებს. კონტრაქტი კი, როგორც ცნობილია, გულისხმობს ორივე მხარის ურთიერთვალდებულებებს. და არ აქვს მნიშვნელობა, თუ ვინ დადო ის ცხადაძესთან ფედერაციის სახელით: თავად ლევან კობიაშვილმა თუ მისმა წინამორბედმა ამ პოსტზე — ზვიად სიჭინავამ. კონტრაქტის დარღვევისათვის დამნაშავეებს უნდა დაეკისროს სანქციები. ან, უხეშად რომ ვთქვათ, ჯარიმა. ესეც შესანიშნავადაა ცნობილი. მზადაა მისი გადახდისათვის ფეხბურთის ფედერაცია? როგორც ჩანს, მზადაა, მაგრამ... ის სიფიცხე, როგორც ამის შესახებ აცხადებს კობიაშვილი, გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ნაკრების მთავარი მწვრთნელისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის დღევანდელი კონფლიქტის მიზეზი არა მხოლოდ ხელფასია.

მოდით, შევეცადოთ გავერკვეთ: ცხადაძე საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე მივიდა აზერბაიჯანის „ინტერიდან“ თემურ ქეცბაიას გადადგომის შემდეგ. ქეცბაიას, მოთამაშისა და მწვრთნელის ყველა ღირსებასთან ერთად, აღმოაჩნდა ჭირვეული და უჟმური ხასიათი. ეს ადრეც ვლინდებოდა ხოლმე, მაგრამ განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა საქართველოს ნაკრებთან მუშაობის დროს. ცხადაძის მოსვლასთან ერთად სურათი კარდინალურად შეიცვალა. ბევრი მოთამაშე, რომლებიც უგულებელყოფდნენ ნაკრებს ქეცბაიასთან უთანხმოების გამო, დაბრუნდა გუნდში. განწყობილება კოლექტივში შესამჩნევად გაუმჯობესდა. ამაღლდა სათამაშო ტონუსი. ეს გამოვლინდა შოტლანდიის ნაკრებთან, აგრეთვე ზოგიერთ სხვა შეხვედრაში, რომლებშიც ქართველი ფეხბურთელები გამართულ თამაშს აჩვენებდნენ. მათ მოქმედებებში მოულოდნელად აღმოჩნდა ის, რაც ადრე არ ყოფილა — რწმენა საკუთარი ძალებისადმი, აქტიურობა დაცვაში, გაბედულება და მიზანდასახულობა შეტევაში. არ არის გასაკვირი, რომ ფეხბურთის მოყვარულებმა საქართველოში ცვლილებები, გუნდში რომ ხდებოდა, აღიქვეს ოპტიმიზმით და აი ასეთი მოულოდნელი შემობრუნება.

მაშ ასე, სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი. ჩვეულებრივად როგორ გამოდიან ამგვარი სიტუაციიდან? რასაკვირველია, მოლაპარაკების გზით, გარკვეული კომპრომისების გზით, თანაც, რა თქმა უნდა, ორივე მხრიდან. და თავდაპირველად საქმე თითქოს აქეთკენ მიდიოდა. ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მთავარ მწვრთნელს შესთავაზა ახალი სქემა — შეუმციროს მას ხელფასი 50 პროცენტით, ე.ი. თვეში 120 ათასი ლარის ნაცვლად, რაც გათვალისწინებული იყო კონტრაქტით, გაიცეს 60 ათასი, თანხის დანარჩენი ნაწილი გადახდილი იქნეს გუნდის მიერ წარმატების მიღწევის შემთხვევაში. მეორე მხარე რას ამბობდა? „მე შევთავაზე ლევანს შეამციროს ჩემი ხელფასი არა 50, არამედ 25 პროცენტით, ე.ი. 90 ათას ლარამდე, იმ შემთხვევაში კი, თუ ნაკრები ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში დაიკავებს მესამე ადგილს — ამინაზღაუროს დარჩენილი თანხა“, — ამბობს ცხადაძე.

მაშ ასე, მხარეებმა გამოთქვეს თავიანთი პოზიციები. თითქოსდა, ყინული დაიძრა და ახლა შეიძლება მიხვიდე რაღაც ურთიერთმისაღებ გადაწყვეტილებასთან, მაგრამ, ვაი რომ... იქმნება შთაბეჭდილება, რომ სერიოზული მოლაპარაკებები ორ მოკონფლიქტო მხარეს შორის მაინც ვერ შედგა. როგორც ჩანს, საკითხი შეეხებოდა მხოლოდ ულტიმატუმს, რომელიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ მთავარ მწვრთნელს წაუყენა. სხვაგვარად როგორ შეიძლება აიხსნას, მაგალითად, კობიაშვილის ასეთი ფრაზა:„... მე უკვე ვისაუბრე ისეთ ცვლილებებზე, რომლებიც მიღებული იქნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე. ეს გადაწყვეტილებები მე ვაცნობე ცხადაძეს...“ ერთი სიტყვით, თქვენ მიხვდით, ძვირფასო მკითხველებო, თუ როგორ იყო საქმე. შეიკრიბა ფედერაციის აღმასკომი, განიხილა ნაკრების ხელმძღვანელის ხელფასის საკითხი (თანაც, ეტყობა, მისი არყოფნის დროს), დააშტემპელეს გადაწყვეტილება... ნაკრების მთავარი მწვრთნელისაგან კი ახლა სხვა აღარაფერი იყო საჭირო, გარდა იმისა, რომ დამდგარიყო განკარგულება „სმენაზე“! და წამოეძახა „არის!“ მაგრამ, როგორც ამბობენ, „მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვა“, ვინაიდან ცხადაძემ აღმასკომის გადაწყვეტილებაზე მოახდინა რეაგირება არა ისე, როგორც ელოდებოდნენ: „მეც ქუჩიდან არ მოვსულვარ — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ჩემს წინაშე აქვს ვალდებულებები... მე, კონტრაქტის თანახმად, დაგეგმილი მქონდა ცხოვრება მომავალი 2,5 წლისათვის, მათ კი ყველაფრის გადატრიალება უნდათ“, — უთხრა მან ჟურნალისტებს და დაუმატა, რომ ფედერაციას, რასაკვირველია, აქვს უფლება გაათავისუფლოს იგი დაკავებული თანამდებობიდან, მაგრამ ამით იგი არღვევს მასთან დადებულ კონტრაქტს — ამ ფაქტიდან გამომდინარე ყველა შედეგით. ეს კი, კახი ცხადაძის სიტყვებით, გულისხმობს კომპენსაციას, რომელიც დაახლოებით 600-700 ათას ლარს შეადგენს.

მაგრამ ლევან კობიაშვილს კახი ცხადაძესთან მუშაობა არ სურს. „ჩემთვის ეს თემა ამოწურულია. მე დავიცავ ყველა იურიდიულ ნორმას: მოვიწვევ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომს და გამოვალ მასზე წინადადებით ცხადაძის გათავისუფლების შესახებ ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან“, — დაიმუქრა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი. და, როგორც მალე დავინახავთ, მუქარა შეასრულა.

სადაა კონფლიქტის ფესვები? მაგალითად, ცხადაძეს მიაჩნია, რომ მასსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის დაძაბული ურთიერთობის მიზეზი არის... სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი. მისი სიტყვებით, მინისტრს ჰყავს თავისი კანდიდატურა ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე, რომელსაც ის გაძლიერებით ლობირებს. „მან მე პირდაპირ მითხრა — მე შენ არ დაგაფინანსებ“, — იხსენებს მინისტრთან ერთ-ერთ შეხვედრას ნაკრების მწვრთნელი.

თავისი საბაბი უკმაყოფილებისთვის აქვს ლევან კობიაშვილსაც, რომელიც ბრალს სდებს ცხადაძეს იმ ადამიანების წაქეზებაში, ვინც არ ეთანხმება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ამასწინანდელი არჩევნების შედეგებს, რომლებზეც მან გამარჯვება მოიპოვა. ის მომხდარს აფასებს, როგორც ნაკრების მწვრთნელის მცდელობას — მოახდინოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი ჩინოვნიკების უკმაყოფილების მცდელობის პროვოცირება მისი ახალი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. მაგრამ ეს მცდელობანი, მისი სიტყვებით, ჩაშლისთვის არიან განწირული. „მათთვის, ვინც ფეხბურთს იყენებს პირადი ანგარებისთვის, ადგილი ფედერაციაში არ იქნება“, — განაცხადა კობიაშვილმა.

ერთი სიტყვით, ბრძოლა მარტივი არაა. მასში, როგორც ცნობილია, ყველა საშუალება კარგია. უეცრად გაიხსენეს ის, რომ 2015 წლის აპრილში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ კახი ცხადაძეს გაუფორმა უპროცენტო კრედიტი 100 ათას დოლარზე. „დღეისათვის მან ფედერაციას უნდა გადაუხადოს კიდევ 50 ათასი“, — ამბობს ლევან კობიაშვილი და შეგვახსენებს იმის შესახებ, რომ ვალის დაფარვისათვის მთავარ მწვრთნელს რეგულარულად ახდევინებენ გარკვეულ თანხას. მაშ, რა ბრალი ედება ცხადაძეს? კი, აიღო კრედიტი. კი, კრედიტი უპროცენტო იყო. მაგრამ რა? თავად კობიაშვილის სიტყვებით ხომ ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვალს მორჩილად იხდის და სესხის ნახევარი უკვე გასტუმრებული აქვს.

ჩვენს ქვეყანაში 160 ლარის პენსიით ყოველთვის შეიძლება მოახდინო ადამიანის დისკრედიტირება და წარუდგინო იგი მოსახლეობას, როგორც წამგლეჯი — მხოლოდ იმის გამო, რომ მას სურს მიიღოს ხელფასი, რომელიც შეესაბამება მის მუშაობას და მასთან დადებულ კონტრაქტს. და ამ დროს არავის ახსენდება, რომ ცხადაძის ყველა წინამორბედი — ტოპმიოლერები, ჟირესები და სხვა უცხოელი მწვრთნელები — გასტროლიორები ღებულობდნენ გაცილებით უფრო მეტ თანხას, ვიდრე ამჟამინდელი მწვრთნელი.

„ჩემი ხელფასი წელიწადში 600-700 ათასი დოლარი უფრო ნაკლებია, ვიდრე ეს ჰქონდა სხვა მწვრთნელებს უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, — ამბობს ცხადაძე. — მაგრამ ადრე ამ პუბლიკის შრომის ანაზღაურებაზე რატომღაც დუმდნენ, ახლა კი გადაწყვიტეს ილაპარაკონ. ხედავთ, აიო, როგორი აპეტიტი აქვს ამ ცხადაძეს. რა იქნება ხვალ?“

მოხსნიან ცხადაძეს, დანიშნავენ ახალ მწვრთნელს, მისცემენ მას ისეთსავე ხელფასს, რაც ახლა მას აქვს, თუ ორჯერ ან სამჯერ მეტს... და ყველა დამშვიდდება, გაჩუმდება, პირში წყალს ჩაიგუბებს, როგორც ეს ჩვენთან ხშირად ხდება. ჩვეულებრივი საზიზღარი ისტორიაა!

კახი ცხადაძემ გვიამბო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან შეხვედრების შესახებ და განაცხადა, რომ ფედერაციამ მას შესთავაზა 200 ათასი დოლარი კომპენსაციის სახით კონტრაქტის გაწყვეტისთვის. ხედავთ, რა უბრალოა და მარტივი ყველაფერი. „წადი, არ მინდიხარ, სამაგიეროდ დიდ თანხას მიიღებ“, — ეუბნება ფეხბურთის ერთი მოღვაწე მეორეს.

როგორ რეაგირებენ ამ კინკლაობაზე ფეხბურთელები? ძნელად რომ ამან სტიმული მისცეს მოთამაშეთა სპორტულ ოსტატობას... თუმცა, თავად ცხადაძემ ურჩია სპორტსმენებს, არ ჩაერთონ არანაირ კონფლიქტში და აკეთონ თავიანთი საქმე, ვინაიდან ისინი, ფეხბურთელები, ეკუთვნიან არა კახი ცხადაძეს, არა ლევან კობიაშვილს, არამედ სპორტის ყველა ქართველ მოყვარულს. „თქვენი ვალია, ბეჯითად ივარჯიშოთ და არ ჩაერთოთ დავებში“, — ურჩია თავის სამეურვეო პირებს კახი ცხადაძემ.

სხვათა შორის, როგორც ვხედავთ, უკვე ყოფილ სამეურვეო პირებს.

როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა მხარი დაუჭირა ლევან კობიაშვილის წინადადებას — გაწყვიტოს კონტრაქტი კახი ცხადაძესთან. როგორც „დინამო თბილისის“ კლუბის პრეზიდენტი რომან ფიფია ამბობს, უახლოეს დღეებში მოხდება ლევან კობიაშვილისა და კახი ცხადაძის შეხვედრა, რომელზეც ისინი განიხილავენ კონტრაქტის ვადამდელი გაწყვეტის პირობებს.

როგორ აისახება მთავარი მწვრთნელის გათავისუფლება საქართველოს ეროვნული ნაკრების თამაშზე, დრო გვიჩვენებს. მაგრამ ის, რომ ამგვარი დავიდარაბა გუნდს დიდ სარგებელს არ მოუტანს — ეს ფაქტია!

ვადიმ ანასტასიადი

◎ ჩოგბურთი

რატომ არ ითამაშებს ალექსანდრე მეტრეველი?

დევისის თასის გათამაშების ევრო-აფრიკული ზონის მესამე ჯგუფში შარშან საქართველოს ნაკრებმა ალბანეთს, ისლანდიას, მალტას, ესტონეთს მოუგო და მეორე ჯგუფში გადავიდა, სადაც წლეულს 16 გუნდი დაუპირისპირდება ერთმანეთს პირველი ზონის 2 საგზურისთვის, ასევე, ჯგუფში დასარჩენად. 4-6 მარტს ქართველი ჩოგბურთელები (ნიკოლოზ ბასილაშვილი, გიორგი ცივაძე, გიორგი ჯავახიშვილი და ირაკლი მეტრეველი, კაპიტანი ვლადიმერ გაბრიჩიძე) თბილისის ახალ სპორ-

ტის სასახლეში დანიელებს შეხვდებიან. ამ მატჩში უნდა ეთამაშა ალექსანდრე (სანდრო) მეტრეველსაც, მაგრამ მან ერთვნულ გუნდში გამოსვლაზე უარი თქვა. თუ რატომ, ეს თავის ფეისბუქზე გამოქვეყნებულ ღია წერილში ახსნა.

გთავაზობთ ამონარიდებს მისი წერილიდან: „2015 წლის ივლისში შევძელით ოთხი ქვეყნის გუნდის დამარცხება, რის შედეგადაც მოვიპოვეთ ზემდგომი კატეგორიის ჯგუფში მონაწილეობის უფლება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ტურნირის ყველა მატჩში მივაღწიე გამარჯვებას და სოლიდური წვლილი შევიტანე საქართველოს ჩოგბურთელთა ნაკრების ამ მნიშვნელოვან წარმატებაში. 2016 წლის 4,5,6 მარტს ქ. თბილისში დაგეგმილი დევისის თასის მატჩში საასპარეზოდ მწვრთნელთან ერთად შევიმუშავეთ მომზადების გრაფიკი, რომელიც ითვალისწინებდა 2016 წლის იანვარ-თებერვალში ტაილანდის, ფილიპინების, იტალიისა და პოლონეთის საჩოგბურთო ტურნირებში ჩემს მონაწილეობას. აღნიშნული გეგმის განხორციელება დამოკიდებული იყო საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის მიერ დაპირებულ საპრემიო ფონდზე... საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციამ ნაკრებს შეპირებული თანხის მხოლოდ ნახევარი გამოუყო, საიდანაც ჩემს წილად მიღებული ჰონორარი იმდენად მცირე იყო, რომ მხოლოდ ტაილანდის ტურნირის დაფინანსებისთვის ვიმყოფინე... ჩემი სპორტული კარიერის დაფინანსების საკითხზე ბოლო 3 წლის განმავლობაში მუდმივ დაპირისპირებაში ვარ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან, მაგრამ ჩემმა დასაბუთებულმა მოთხოვნებმა არავითარი შედეგი არ გამოიღო... სამი წლის მანძილზე ჩემი დაფინანსების მიზნით გამოყოფილი ჯამური თანხა 19 000 (ცხრამეტი ათასი) ლარს არ აღემატება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის გულგრილი დამოკიდებულება ჩემს მიმართ... ამრიგად, ჩემი ამჟამინდელი მომზადების ხარისხი და ფსიქოლოგიური მდგომარეობა სარგებელს ვერ მოუტანს ვერც საქართველოს ჩოგბურთელთა ნაკრებს... შესაბამისად, უარს ვამბობ დაგეგმილ მატჩში მონაწილეობაზე, რაზეც სრულ პასუხისმგებლობას ვაკისრებ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას“.

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციამ ალექსანდრე მეტრეველს წერილითვე უპასუხა: „2015 წლის დევისის თასზე მიღებული კარგი შედეგისთვის ფედერაციამ და სპორტის სამინისტრომ ერთობლივად ყველაფერი გააკეთეს, რომ გუნდს მაქსიმალურად მაღალი ჰონორარი მიეღო, მაგრამ დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე 20.000 ლარზე მეტის გადახდა არ მოხერხდა, რაც, რასაკვირველია, არ არის საკმარისი... ჩოგბურთის ფედერაციის 2016 წლის ბიუჯეტი შეადგენს 800 ათას ლარს (ნაცვლად სანდრო მეტრეველის მიერ აღნიშნული 1 მილიონი ლარისა), რომელიც წლის განმავლობაში უნდა მოხმარდეს მამაკაცთა და ქალთა ეროვნულ ნაკრებ გუნდებს, ინდივიდუალურ ტურნირებს, რამდენიმე ასაკობრივ ნაკრებს... აღნიშნული 800 ათასი ლარიდან საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ნაკრებ გუნდს გამოეყო 100.000 ლარი... ასევე გვინდა გაგაცნოთ სანდრო მეტრეველის დაფინანსების ზუსტი თანხა, რომელიც მასზე გაიცა ბოლო სამი წლის განმავლობაში: **2013 წელი** — 9126.45 ლარი, **2014 წელი** — 10056.45 ლარი, **2015 წელი** — 13360.02 ლარი. **ჯამი** — 32,542.92 ლარი, რაც აღემატება სანდრო მეტრეველის მიერ აღნიშნულ 19,000 ლარს. ფედერაციის ხარჯთაღრიცხვა საჯაროა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს, მობრძანდეს ფედერაციაში და მოითხოვოს ოფიციალური საბუთი“...

ზემოაღნიშნული მწვავე პრობლემის მიუხედავად, საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ნაკრებ-

ბი მონდომებით ემზადება დანიის გუნდთან სათამაშოდ. მეტოქე ძლიერია — შარშან იგი პირველი ჯგუფიდან დაქვეითდა. ამის მიუხედავად, მასპინძლებს გამარჯვების იმედი აქვთ. ამ მატჩში წარმატების შემთხვევაში ქართველი ჩოგბურთელები ივლისში ზიმბაბვე-ფინეთს შორის უძლიერესს შეხვდებიან თბილისში.

ლექსო ციწცაძე

◎ დედაქალაქი

„მოუნათლავი“ ქუჩების უპასპორტო სახლები

დიდ ქალაქებს, შიგადაშიგ, რაღაც-რაღაც პრობლემები, ზოგჯერ საკმაოდ მნიშვნელოვანი და შემაწუხებელიც აქვთ, მაგალითად, სატრანსპორტო საცობები, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, გამწვანება, ნაგვის გატანა და სხვა. ეს დიდად გასაკვირი არ არის, რადგან თანამედროვე პოლისები ურთულესი მექანიზმებია, რომელთა გამართული მუშაობა მრავალი სამსახურის ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებაზეა დამოკიდებული.

მაგრამ, არის ზოგიერთი ისეთი, თვალის ერთი გადავლებით თითქოს უმნიშვნელო საკითხი, რომლის მოგვარება, სავსებით შესაძლოა, დიდად არც არავინ შეამჩნიოს, ანდა, თუ შეამჩნევს კიდეც, ამით მაინცდამაინც გაკვირვებული არ დარჩეს, თუმცა კი მისი ჯეროვნად მოუწესრიგებლობა ყურადღებასაც მიიპყრობს და ხშირად დისკომფორტსაც შეუქმნის.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს ისეთი თითქოს „მეორეხარისხოვანი“ საკითხი, როგორიცაა ქუჩების სახელწოდებებისა და სახლების ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრების აშკარა არასაკმარისობა. თბილისის უამრავ ქუჩას დასახელება მხოლოდ თავსა და ბოლოში აწერია, ნუმერაცია კი საერთოდ არ არის აღნიშნული რაც, მით უმეტეს ბოლო დროს ასე მომრავლებული მაღლივი კორპუსების პირობებში, საჭირო მისამართის ძებნისას — გნებავთ, სტუმრისთვის, გნებავთ, გამოძახებული ტაქსის მძღოლისთვის — საკმაო სირთულეს ქმნის.

თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ დედაქალაქში, ერთგვარ „საცდელ უბნად“ მეტად ხალხმრავალი, რკინიგზის სადგურისა და იქვე აგარარული, ეგრეთ წოდებული „დეზერტირების ბაზრის“ მიმდებარე ტერიტორია შევარჩიეთ. ამ შემთხვევაში „ბავშვთა სამყაროდან“ წინამძღვრიშვილის ქუჩამდე გამავალ აბასთუმნის ქუჩას, სადაც უამრავი სავაჭრო ობიექტი, საცხოვრებელი კორპუსი, სახელოსნო და სხვა ობიექტია, არც ქუჩის დასახელებაა მითითებული, ნუმერაციაზე ხომ ლაპარაკიც არ არის. ერთადერთ დანომრილ სახლზე კი აბრა, როგორც ჩანს... აშენების დროინდელია.

იგივე მდგომარეობაა თევდორე მღვდლის (ყოფილი ორჯონიკიძის), გიორგი ცაბაძის (ყოფილ ერნსტ ტელმანის), კიდევ მრავალ სხვა ქუჩაზე, რომელთა ჩამოთვლას, ელემენტარულად, აზრი იმიტომ არა აქვს, რომ გაცილებით ნაკლებ ადგილს დაიკავებს იმ ქუჩების დასახელება, სადაც ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა.

ბოლოს იმის თქმაც მინდა, რომ ერთხელ, ერთ-ერთი ორგანიზაციის ადგილსამყოფელის ძებნისას, საბურთალოს ქუჩის პარალელურ ქუჩაზე დაახლოებით საათი დავდიოდი, რომელზეც არათუ არც ერთი (!) სახლის ნომრის აღმნიშვნელი, არამედ... თავად სახელწოდების აღმნიშვნელი აბრაც არ იყო.

სიმართლე გითხრათ, იმის გამო, რომ იქ მოხვედრა მას შემდეგ აღარ მომიწია, არ ვიცი, „მონათლა“ ის ქუჩა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და დაინომრა თუ არა „უმისამართო“ სახლები, მაგრამ იმის იმედი მაინც მაქვს, რომ, ვინც ჯერ არს, ამას ახლა მაინც მიხედავს.

ოთარ მერიშვილი
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

მეუღლე ნატო შენგელია, შვილები ოთარ, დათო შენგელიები, რძალი სალომე სალუქვაძე, ძმა გია შენგელია, რძალი მაია გოჩიაშვილი, ძმისშვილები ნატო, მარიტა შენგელიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვაჟა ოთარის ძე შენგელია

პანაშვიდი 23, 24 II, 17 სთ. დაკრძალვა 25 II, 15 სთ. მისამართი: ოზურგეთის რაიონი, სოფელი ნატანები.



დეიდა ირინა ღლონტი, ბიძა ლევან დათუკიშვილი, დეიდაშვილები ნინო, ბესიკ დათუკიშვილები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან

ვაჟა შენგელიას

უდროო გარდაცვალებას.

რეკლამა
293-37-87
მაჩაბლის ქ. №7.

◎ ინფორმაცია

41 ძირი ხე ტოტებშეჭრილი დატოვეს

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს ინსპექტირების განყოფილების თანამშრომლებმა ხეტყის უკანონო ჭრის ფაქტი გამოავლინეს.

გარდაბნის რაიონის სოფელ ბირლიკის მიმდებარე ტერიტორიაზე, სამართალდამრღვევებმა მოჭრეს 41 ძირი სხვადასხვა სახეობის ხის ტოტები. გარემოსთვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 19834 ლარი.

ფაქტი შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს. საქმის მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაიგზავნა შესაბამის ორგანოში.

განცხადება

2016 წლის 14 აპრილს, 15 საათზე, ქ. ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში (მისამართი: ქ. ჭიათურა, ნინოშვილის ქ. №7) გაიმართება შპს „მალკოს“ მანგანუმის მადნის გადამმუშავებელი საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

საწარმოს საქმიანობის მიზანია მანგანუმის მადნის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს მოწყობა, მანგანუმის მადნის შემოტანა, მისი დამსხვრევა სათანადო ფრაქციამდე და მიღებული პროდუქციის რეალიზაცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ქ. ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში — ქ. ჭიათურა, ნინოშვილის ქ. №7;
- შპს „მალკოს“ ოფისში — ქ. ჭიათურა, სოფ. რგანი;
- შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 5(95) 59 52 55; 5(95)28 75 60.

საზოგადოებასთან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღე.

შპს „მალკოს“ ადმინისტრაცია

გულწრფელი სამადლობელი

ნებბა მომეცით, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორატს, თითოეულ ჟურნალისტსა და თანამშრომელს მადლობა გადაგიხადოთ ჩემი 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი წერილების გამოქვეყნებისთვის, იმ გულწრფელი სურვილებისთვის, რომლებიც ამ პუბლიკაციებში იყო გამოთქმული.

მადლობას მოვახსენებ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობას, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს სახალხო პოეტს ბატონ ჯანსუღ ჩარკვიანსა და გამოჩენილ პოეტს, ქალბატონ მაყვალა გონაშვილს, ვისი მეცადინეობითაც მიმიღეს მწერალთა ამ სახელოვანი გაერთიანების წევრად და მომანიჭეს აკაკი წერეთლის პრემია ტრილოგიისთვის – „ერთი წლის მონაგარი“, „საუბრები კრწანისის ველზე“ და „რაც იმ დროს ითქვა“.

დიდად მადლობელი ვარ ყველასი, ვინც გამიხსენა და ჩემთვის კეთილი სიტყვა არ დაიშურა.

უღრმესი პატივისცემით
არმაზ სანეგლიძე

◎ არჩევნების მანჭვები

ნეტავი, ამომრჩეველი ვინ ეყოლება?

შორეულ აღმოსავლეთში, ერთ-ერთ ზოოპარკში ვეფხვის ამურისა და ვაცი თემურის „მეგობრობის“ ამბავი, სოციალური ქსელების წყალობით მთელ მსოფლიოში გახმაურდა და თვეების მანძილზე უამრავი ხალხის ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული.

ცოტა ხნის წინათ, ანცმა თემურმა თავისი მრისხანე მეგობარი ამური „უტვინო“ ხუმრობით იქამდე მიიყვანა, რომ მან ტორი შემოჰკრა. ვეფხვმა ეს აბეზარი ვაცის მხოლოდ თავიდან მოსაშორებლად ქნა, მაგრამ, ერთი რომ თემურმა ლამის სული განუტევა, მეორეც, ზოოპარკის მესვეურებს ისე შეეშინდათ, რომ ვაცი თემური სასწრაფოდ სხვა ვოლიერში გადაიყვანეს.

ახლა კი აღმოჩნდა, რომ რუსეთში სახელმწიფო სათათბიროში (ანუ დუმაში) მომავალ არჩევნებში ვაც თემურს... ამ საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენებენ შორეული აღმოსავლეთის ფედერალური ოლქისგან. „ლაიფ-ნიუსის“ ცნობით, ეს გადაწყვეტილება პრიმორიეს საფარი-პარკის დირექტორმა დიმიტრი მეზენცევმა მიიღო, სადაც ამური და თემური ბინადრობენ.

– მე, ცხადია, მესმის, რომ თეთავად კომიკურია და ბატონ მეზენცევის მხრიდან რუსეთელი სენატორების მიმართ სრულ უპატივსმცემლობას გამოხატავს, ცხოველების არჩევით თანამდებობებზე ყოფნის – თანაც საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე! – პრაქტიკა წლების მანძილზე არსებობს: ამერიკის შეერთებული შტატების შუა დასავლეთის ერთ-ერთ პატარა ქალაქში აგერ უკვე რამდენი ხანია მერი... ხვადი კატაა!

ისე, კაცმა, რომ თქვას, იუმორი იუმორად, მაგრამ სამამულო პარლამენტარიზმის მწარე ისტორიის გათვალისწინებით, იქნებ ამ ინიციატივის უფრო სხვა თვალთახედვით განხილვას გარკვეული აზრი ჰქონდეს...

ოთარ ტურაგელიძე

გამოიწერეთ:
6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.
ჩვენი მისამართი:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

◎ დედაქალაქი

იერსახის მოწესრიგებაზე მკაცრი კონტროლი განხორციელდება

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ ქალაქის იერსახეზე ზრუნვასთან დაკავშირებით შეხვედრა „თელასის“, „ყაზტრანსგაზის“, „აუთდორ.ჯის“, „ალმა+“-ის, „კავკასუს ონლაინისა“ და „სილქნეტის“ წარმომადგენლებთან გამართა. დავით ნარმანიამ შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოებას მათი საინჟინრო ნაგებობის, განათების ბოძების, საკომუნიკაციო ქსელებისა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურის ვიზუალურად მოწესრიგებისკენ მოუწოდა.

შეხვედრაზე წარმოდგენილი კომპანიების წევრებს განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ გეგმა-გრაფიკის წარმოსადგენად ერთკვირიანი ვადა მიეცათ, რის შემდეგაც დაგეგმილი სამუშაოების შესრულების მონიტორინგს თბილისის მერია განახორციელებს.

◎ ინტერნეტიდან

გამსახიობებული ლარისა

ამ ცოტა ხნის წინათ, სითამამითა და დიდებული გავის წყალობით პოპულარულად ქმნილი პარაგვაელი მოდელი ლარისა რიკელმე ბრაზილიაში ჩასულა. ამ დაუოკებელი ქალის ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასკუპება, აბა, ვის გვიკვირს, მაგრამ ამჯერად ლარისას ბრაზილიური ვოიაჟის მიზეზი ერთობ საინტერესო იყო.

პარაგვაის საფეხბურთო ნაკრების თილისმად სახელდებული მკერდდიადი ლარისა, როგორც ჩანს, ყოველთვის ჭეშმარიტად ასრულებს დანაპირებს და სულ მოკლე დროში ამ შესანიშნავ მეოჯახე ქალბატონსა და კარგ ოჯახიშვილს ბრაზილიური ტელესერიალების გმირად ვიხილავთ.

ლარისას რომ ფული უყვარს, ეს მარტო ჩვენ კი არა, გლდანელი როენას დიდებული დაწესებულების მკვიდრებმაც კი იციან. სწორედ ამიტომაც ნამეტნავად გაჯანჯღლებულა ლარისას მოლაპარაკებები ბრაზილიელ პროდიუსერებთან, მაგრამ ბოლოს რიკელმეს ქალმა მაინც თავისი გაიტანა და გვარიანად დიდ თანხას აიღებს გამსახიობებაში. ამ დროს კი საქართველოში თურქული სერიალებია მოდაში. ასე რომ, დადგა ჟამი, დავუბრუნდეთ ფესვებს! ვივა ბრაზილ!

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ცინცხალი ანეკდოტები

– დედი მეძახდი? – კითხულობს მიხო.
– არა
– მამი, არც შენ მეძახდი?
– არა.
– ბებო და პაპა, არც თქვენ დაგიძახნიათ?
– არა.
– კარგი, მაშინ სხვანაირად დავსვათ კითხვა: „დღეს საერთოდ შევჭამთ რამეს“?

* * *

– შვილო, ხომ იცი, გველები რამდენწელს ცოცხლობენ? – ეკითხება სიდედრი სიძეს.
– რაო, დედიჯან, თავს ცუდად გრძნობ?

* * *

ბიჭი ძალიან შეუხედავ გოგოსთან ერთად ლიფტში გაიჭედა.
– იცოდეთ, თუ ჩემს კოცნას დააპირებთ, აუცილებლად ვიყვირებ, – ამბობს გოგო.
– მეც ვიყვირებ! – უპასუხებს აწურული ბიჭი.

* * *

– მიხო, დღეს ხომ ჩვენი ქორწინების დღეა. მიდი, ცხვარი დაკალი!
– ცხვარს რას ვერჩი, ნიკა მყავს ყელგამოსაჭრელი, მან არ გამაცნო შენი თავი?

* * *

მეშინია. მალე მშობიარობა დაიწყება. ხელები მიკანკალებს. ზურგი მთლად გამიოფლიანდა. ფეხები თითქოს ბამბისა გამიხდა. ჩემი ცოლი კი წყნარად ზის და ტელეფონით თამაშობს...

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-37-87
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გმადლობთ, რომ კითხულობთ ძველ და სანდო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“, ყოველი ნომრის შეძენით თქვენ იცავთ თქვენს უფლებებს!